# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 ოქტომბერი 2006 №236 (2858) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რობერტო დონადონი კანკავას წითელმა ბარათმა იხსნა



ბადრი კეთილაძის ფოტო

# თოფი რომ გვესროლოთ, მაინც ვიტყვით: ტოპი გვჭირდება!

## ტოპმიოლერის საქართველო აგებს. მაგრამ თამაშობს



ბადრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 11 ოქტომბერი. 22 საათი. ეროვნული. 54 000 (ტევადობა 55 000)

## საქართველო 1:3 იტალია

0:1 დე როსი (16), 1:1 შაშიაშვილი (26), 1:2 კამორანეზი (61), 1:3 პეროტა (71)

| | |
|---|---|
| **საქართველო:** ლომაია, ხიზანიშვილი, კალაძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, მენთეშაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი (კანდელაკი 76), კვირკველია, მარცვალაძე (გიგიაძე 85), აშვეთია (ა. იაშვილი 70)<br>*სათადარიგონი:* ჭანტურია; ალადაშვილი, მოდებაძე, გრიგალაშვილი<br>**მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი | **იტალია:** ბუფონი, ოდო, ნესტა, კანავარო (მატერაცი 74), ძამბროტა, პირლო (მაური 62), დე როსი, კამორანეზი (იაკინტა 87), პეროტა, დი ნატალი, ტონი<br>*სათადარიგონი:* ამელია; ძაკარდო, დელვეკიო, ფ. ინძაგი<br>**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი |

**გაფრთხილება:** კანკავა (18), შაშიაშვილი (29), ცქიტიშვილი (45), კანკავა (60), ძამბროტა (85)

**გაძევება:** კანკავა (60)

**მსაჯები:** მ. რაილი, გ. ტერნერი, დ. ბაბსკი, პ. ვები (ყველა ინგლისი)



# სამში სამი

## გუშინ ცხოვრება ფეხბურთის ნაწილი იყო...

**ილია ნანობაშვილი**

**ფეხბურთი** ცხოვრების ნაწილია და როგორც ცხოვრებაშია, ფეხბურთშიც არიან იღბლიანი და უიღბლო მწვრთნელები, იღბლიანი და უიღბლო გუნდები... რომელს მიეკუთვნებიან კლაუს ტოპმიოლერი და საქართველოს ნაკრები, მგონი, კითხვაც არ უნდა. თავი დავანებოთ იმას, რომ შვიდი-რვა ფეხბურთელი გვაკლდა (თუმცა ვერ დავანებებთ და შემდეგ კიდევ ვიტყვით) — არ შეიძლებოდა, ზურაბ ხიზანიშვილის დარტყმული ბურთი ორი სანტიმეტრით მარჯვნივ გაფრენილიყო?! 44-ე წუთზე, ასეთ საკვანძო დროს...

არ გადავაჭარბებთ: იმ ფონზე, რა კონტინგენტიც საქართველოს ნაკრებს ჰყავდა, მსოფლიოს ჩემპიონთან 60 წუთი მშვენივრად ითამაშა. იტალია რაღაცნაირად აჭრილი და ანერვიულებული ბურთაობდა — ამდენი უზუსტო პასი „სკუადრას“, მგონი, მუნდიალის შვიდ მატჩში ერთად არ მოჰგროვებია.

ყველა რგოლში ხომ გვაკლდნენ ფეხბურთელები და, ყველაზე მეტად მაინც იმას ვდარდობდით, ვის უნდა გაძღოლოდა თამაშს. გამოჩნდა ასეთი კაცი, თავშეხვეულმა ლევან ცქიტიშვილმა ულიდერა ნაკრებს, ართმევაშიცვარგოდა და მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში ისე დაიჭირა ბურთი, უკვე გვეგონა, მორჩა, იტალიას უპირატესობა წავართვით და აწი აქეთ იბრძოლონ ანგარიშის შესანარჩუნებლადო.

და ამ დროს განვლილი 60 წუთი წყალში ჩაიყარა: მანამდე ყვითელბარათიანი ჯაბა კანკავა მოედნის ცენტრში ანდრეა პირლოს დაეტაკა და მეორე ყვითელი წითლად შეილება. იმწამსვე „სკუადრამ“ ჯარიმა გაათამაშა, რეაქტიულმა ანტონიო დი ნატალემ მარცხნიდან თავზე დაასვა ბურთი მაურო კამორანეზის და 1:2.

ზედიზედ მეორე მატჩია, საქართველოს ნაკრებს კაცს უძევებენ, ისევ იძალა ძველმა სენმა, რაც ყველა ჩვენს ასაკობრივ ნაკრებშია მოდებული. კანკავა 20 წლის დასალევინებელი ბიჭია და განტევების ვაცად სულაც არ გვინდა ვაქციოთ, მაგრამ საკვირველია, რატომ დამკვიდრდა ქართველ გულშემატკივრებში ტრადიცია, გაძევებულ ფეხბურთელს ტაში უნდა დაუკრან?

ჰო, გულშემატკივრის მიმართ სხვა სასაყვედურო არაფერია. ნამატჩევს პოლიციამ რომ მოედანზე გადამხტარი ბიჭი უმოწყალოდ ჩაწიხლა, ამაზეც სწორი რეაქცია გააკეთა ქომაგმა — სტვენა...

...მატჩამდე ერთი საათით ადრე „ეროვნულის“ ტრიბუნები სამი მეოთხედით გავსებულიყო, მერე იყო ნაციონალური ბალეტის ცეკვა და განახევრებული საქართველოს ნაკრების გამოცდაც დაიწყო. კლაუს ტოპმიოლერმა და რობერტო დონადონიმ დაახლოებით მსგავსი სათამაშო სქემა 4-3-2-1 ირჩიეს. ტოპის მხრიდან ერთგვარი სიურპრიზი იყო გიორგი შაშიაშვილის მარცხენა მცველად დაყენება, ზურაბ ხიზანიშვილმა კი არა ცენტრში, არამედ მარჯვნივ დაიკავა ადგილი, ხოლო კახა კალაძეს ოთარ ხიზანეიშვილი შეუწყვილდა. ნახევარდაცვა და თავდასხმა ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც მწვრთნელი თამაშის წინა დღეს ვარჯიშზე ამუშავებდა.

დონადონიმ კი, ძირითადს ვინ ჩივის, 18 კაცს მიღმა დატოვა ალესანდრო დელ პიერო, მის ნაცვლად მარცხენა გარემარბად დი ნატალე დააყენა და გამოიცნო კიდეც. „სკუადრას“ შუა ხაზში მარტო ანდრეა პირლო კი არა, სიმონე პეროტაც დირიჟორობდა, ხოლო დანიელე დე როსი მხოლოდ საყრდენის მოვალეობას ასრულებდა.

და ამ საყრდენმა მე-17 წუთზე გაგვიტანა კიდეც: დე როსიმ 30 მეტრიდან გაისროლა და რატომღაც დროზე ადრე დაწოლილმა გიორგი ლომაიამ თვალიღა გააყოლა ბურთს — 0:1.

ეს იყო იტალიელთა პირველი დარტყმა კარის ჩარჩოში და ყურადღება მიაქციეთ, ამ მწარე სტატისტიკას ბოლოსაც გავიხსენებთ.

იტალიამ ბურთი დაიჭირა, ქართველები კი მოედნის ცენტრში ვერ ერეოდნენ მეტოქეს. მიხეილ აშვეთია კანავაროს ბრჭყალებს ვერ უძვრებოდა, ჰოდა, არც გრძელი პასები ჭრიდა.

ჩვენები ნელ-ნელა უმატებდნენ ტემპს და 25-ე წუთზე „ეროვნული“ კინაღამ დაინგრა: კვირკველიას ფლანგიდან ჩაწოდებულ საჯარიმოს აშვეთიამ უზუსტო დარტყმა კი მიაყოლა, მაგრამ შეტევა გაგრძელდა, ზედ საჯარიმოს მისადგომებთან გიორგი შაშიაშვილმა მოიხელთა ბურთი და ცაციათი დააჭედა შორეულ კუთხეში — ჯანლუიჯი ბუფონის პანტერასავით ნახტომი ამაო იყო, მშვენიერი გოლი გამოვიდა!

ერთ-ორი წუთი კიდევ მიაწვნენ ქართველები, მერე კი, ტაიმის ბოლომდე (ხიზანიშვილის ძელმორტყმული ბურთის გარდა) იტალიელთა სოლო იყო — ჯერ ახმახმა ლუკა ტონიმ ააცილა, ორჯერ კი დი ნატალე გაიჭრა ფლანგიდან და ტონის ხონჩით მიართვა ბურთი გასატანად, მაგრამ, ჩვენდა ბედად, ფიორენტინელმა ხუთიოდ მეტრიდანაც ვერ ივარგა.

ტაიმის დამატებულ წუთებზე ლომაიას კართან მაგრად დაცხა, „აძურა“ კუთხურებით და საჯარიმოებით იმუქრებოდა.

მეორე ნახევრის საწყისი 15 წუთი კი საჩვენო იყო. დონადონიმ ნამატჩევს თქვა, მშვიდად ვიყავითო, მაგრამ მეტოქე აშკარად ჩქარობდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. არანაირი ხიფათი ჩვენს კართან — აბრაგანები ხიზანიშვილ-კალაძე-ხიზანეიშვილის ლუკმა ხდებოდა, მენთეშაშვილი და კანკავა, რაც შეეძლოთ, მუშაობდნენ ართმევაზე, ცქიტიშვილს ელეგანტურად მიჰყავდა თამაში, ეგაა, კვირკველია და მარცვალაძე დაიღალნენ, აშვეთიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ — მიხო უკვე არანაირ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა მასპინძელთა დაცვისთვის.

მერე კი იყო კანკავას გაწითლება, კამორანეზის გადამწყვეტი გოლი და, ფაქტობრივად, თამაში აქ დამთავრდა.

სიმონე პეროტას 71-ეზე გატანილი კი წერტილის დასმასავით იყო — ძალიან ლამაზად გაითამაშა „აძურიმ“ ეს კომბინაცია.

იაშვილი, კანდელაკი, გიგიაძე — ტოპის სამარქაფოებიდან მხოლოდ „აკუნამ“ მოასწრო თამაშის გამწვავება, თუმცა იტალია რის იტალიაა, ორბურთიანი უპირატესობა ქარს გაატანოს.

ასე იგემა უიღბლო ჰერ კლაუსის სამწყსომ მიჯრით მესამე მარცხი.

წეღან რომ სტატისტიკა ვახსენეთ, ნუ გაიკვირვებთ და, ასეთია: იტალიის ნაკრებმა 90 წუთში სამჯერ დაარტყა ლომაიას კარის ჩარჩოში...




**უკრაინა 2:0 შოტლანდია**

1:0 კუჩერი (60), 2:0 შევჩენკო (90პ)

გაძევება: პრესლი (86, შოტლანდია)

**საფრანგეთი 5:0 ფარერები**

1:0 საა (1), 2:0 ანრი (22), 3:0 ანელკა (76), 4:0, 5:0 ტრეზეგე (77, 84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 |
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 9:9 | 3 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 0:18 | 0 |

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## პრესკონფერენცია



***კლაუს ტოპმიოლერი:*** ჩვენთვის ეს მაღალი რანგის მატჩი იყო და კანკავას გაძევებამდე თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. სიტუაციას რომ არ ასახავდა, ისეთი გოლი გავუშვით, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გამოვიჩინეთ და გოლის გატანა მოვახერხეთ. მერე დაწინაურების შანსიც გვქონდა, როცა ხიზანიშვილმა ძელს გაარტყა ბურთი. ამას მოჰყვა კანკავას საეჭვო გაძევება — ის გვერდიდან შევიდა მეტოქესთან ორთაბრძოლაში და არა უკნიდან. სწორედ ამ ჯარიმის გათამაშებას მოჰყვა იტალიელთა მეორე გოლი. როცა იტალია დაწინაურდება, მისი დამარცხება ძალიან ძნელია.

**— საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ბოლო მატჩებში ძალიან ბევრ ბარათს იღებენ...**

— უმაღლეს დონეზე სათამაშოდ სათანადო ფიზიკური მომზადება არ გაგვაჩნია და ფეხბურთელები ორთაბრძოლაში შესვლას მეასედი წამით აგვიანებდნენ. ისიცაა, რომ ჩვენი ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ხშირად ვერ თამაშობს თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში და ბარათები სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობითაცაა გამოწვეული. ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და მატჩის წინა დღეს ღვინიანიძეც გამოგვაკლდა, რითაც წინასწარ დამუშავებული ტაქტიკური ნახაზები წყალში ჩაგვეყარა და ცვლილებები მყისიერად მოვახდინეთ. მიუხედავად კაცნაკლულობისა, ბოლომდე ვიბრძოლეთ, თუმც ათი ფეხბურთელით თამაში ველარ შემოვაბრუნეთ.

**— მსაჯობაზე რა აზრის ხართ?**

— ყველა საკამათო ეპიზოდში მსაჯმა მეტოქის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. ცოცხალი კედლის აღმართვისას ცქიტიშვილი რომ გააფრთხილა, მისთვის წინასწარ არავის მოუთხოვია წესით გათვალისწინებული დისტანციის დაცვა და ისე უჩვენეს ყვითელი ბარათი.



***რობერტო დონადონი:*** ვიცოდით, რომ ძლიერ მეტოქეს ვეთამაშებოდით. საქართველოს ნაკრებმა დიდი ენთუზიაზმით და მოტივაციით ითამაშა, რასაც მშვიდი და გაწონასწორებული თამაში დავუპირისპირეთ. სიმშვიდე ბოლომდე შევინარჩუნეთ.

**— პეროტა და დე როსი კლუბში სხვა ამპლუაში თამაშობენ — რატომ შეუცვალეთ მათ ფუნქციები?**

— იმიტომ, რომ ვიცოდი, რა სირთულეებიც გველოდა. პეროტას და დე როსის ფლანგების დახმარება დავავალეთ და ფლანგებზე მართლაც მოვიპოვეთ უპირატესობა.

**— მსაჯობას როგორ შეაფასებდით?**

— მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია, თუმც შეცდომები ყველას მოსდის — მსაჯს, მწვრთნელს, ფეხბურთელს... დღეს კი მსაჯს მატჩის შედეგზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

**— დელ პიერო რატომ არ იყო განაცხადში?**

— უბრალოდ, ასე ჩავთვალე საჭიროდ. მან ოთხი დღის წინ ითამაშა უკრაინასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ თავის გამოჩენის შანსს ვაძლევ.










ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალიან კმაყოფილი

## ჰაინც ტოპმიოლერი: ჩვენი მიზანი მომდევნო მიზანია



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით ითამაშა ევროშესარჩევ ტურნირში და ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდებმა ჩრდილოეთ ირლანდიას (1:0) და ბელგიას (3:2) მოუგეს, რუმინეთთან კი 0:3 წააგეს და მეორე ადგილზე გავიდნენ. საქართველოს ნაკრები გუშინ გამთენიისას დაბრუნდა რუმინეთიდან და ჩვენც მთავარ მწვრთნელს ვთხოვეთ ინტევრიუ...

— როგორ შეაფასებთ ტურნირს?

— ძალიან კმაყოფილი ვარ. რუმინეთთან წაგებას თუ არ ჩავთვლით, ჩვენთვის ტურნირმა წარმატებულად ჩაიარა.

— თქვენი შეგირდები ბევრ ყვითელ ბარათს ილებდნენ, ბელგიასთან კი კაციც გაგვიძევეს...

— სულ რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მივიღეთ. მართალი გითხრათ, მსაჯებმა ძალიან აღმაშფოთეს. ვერ გეტყვით, არბიტრები თავს იზვევდნენ თუ რისი ბრალი იყო, მაგრამ იმ დარღვევაზე, რაზეც სხვა გუნდს ჯარიმასაც კი არ აძლევდნენ, ჩვენს ბიჭებს ყვითელს უჩვენებდნენ. რამდენიმე პიროვნებასთან ამის თაობაზე სერიოზული საუბარიც მქონდა.

— ვის გამოარჩევთ გუნდიდან?

—არავის, გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, ვიტყვი, რომ ძალიან კარგი და შეკრული გუნდი მყავს. ეს არა მხოლოდ მინდორზე, არამედ ყოველდღიურობაშიც შეიმჩნევა. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი, როდესაც მათ ვაკვირდებოდი სასტუმროშიც და ქალაქში გასვლის დროსაც. ახალი ფეხბურთელებიც არავის გაურიყავს და პირველივე წუთიდან დაუმეგობრდნენ ძირითად ბირთვს...

— რუმინეთი რეალურად ამდენად ძლიერი იყო, რომ 3:0 მოეგო ჩვენთან?

— რუმინეთი ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა, ამ აზრმა ჩვენი გუნდის თამაშებზეც იმოქმედა და პირველი გოლის შემდეგ ბიჭებმა გათანაბრება ველარ შეძლეს.

— ბელგიასთან ორი წამყვანი ნახევარმცველი, მირზა ბჟალავა და გიორგი განუგრავა გაკლდნენ და როგორ მოახერხეთ ამ დანაკლისის აღმოფხვრა?

— საკმაოდ რთული სიტუაცია იყო. იძულებულნი ვიყავით, სქემა გადაგვეწყო. ბელგიასთან თამაში საკმაოდ საინტერესო გამოდგა, ბოლო წუთამდე 3:1 ვიგებდით, მაგრამ... ალბათ, დაცვამაც მოადუნა ყურადღება და მატჩი 3:2 დავასრულეთ.

— მომდევნო მიზანი რა იქნება?

— ჩვენი მიზანია, არ შევჩერდეთ და წინ ვიაროთ. გააჩნია, როგორი გუნდი შეგვხვდება, მაგრამ ერთს კი გეტყვით, ყოველ მატჩში თავდადაუზოგავად ვიბრძოლებთ.

— საერთოდ, ამ თაობის ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— ცხრამეტწლამდელებში ნამდვილად არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ამ ეტაპზე ეროვნული ნაკრების მომავლად შეიძლება ჩაითვალონ. ფიზიკური მომზადების მხრივ კი, არა მხოლოდ ჩემს გუნდს, არამედ მთელ ქართულ ფეხბურთს აქვს პრობლემები. ჩვენს ფეხბურთელებს რომ ის მონდომება ჰქონდეთ, რაც, თუნდაც გერმანელებს აქვთ, მაშინ უფრო მეტი წარმატება გვექნებოდა.

**ნინო სილაგაძე**



# ყაველაშვილის ტესტ-დუბლი

**სანაკრებო** მატჩების გამო, ბუნებრივია, შესვენებაა შვეიცარიის ჩემპიონატშიც და გუნდები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. ასე მოიქცა „ბაზელიც", რომელიც „ოლდ ბოიზს" გაეჯიბრა და 8:0 დაამარცხა. საინტერესოა, რომ ბაზელელთაგან ორი გოლი მიხეილ ყაველაშვილმა (მე-9 და 78-ე წუთებზე) გაიტანა. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

აქვე გეტყვით, რომ შვეიცარიულ სუპერლიგაში ცხრა ტურის მერე „ბაზელი" მეხუთე ადგილზეა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ბათუმის ძველ-ახალი ჯიქია

**რუსეთის** მოქალაქე, მაგრამ საქართველოში ორი წლის წინ ჩამოსული რევაზ ჯიქია კვლავაც „ბათუმში" გააგრძელებს ბურთაობას. გეხსომებათ, 25 წლის ფორვარდი ოთარ გაბელიამ ჩამოიყვანა ქუთაისის „ტორპედოში", სადაც ნახევარი სეზონი ითამაშა, გოლებიც ბლომად შეაგდო და წინა ჩემპიონატის პირველი ნახევარი „ბორჯომში" დაიწყო, თუმც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.



რევაზ ჯიქია

შემდეგ ჯიქია „ბათუმში" გადავიდა და ისევ შედეგიანად ათამაშდა — მისი დიდი დამსახურება იყო, ზღვისპირელები კინაღამ ევროთასზე რომ გავიდნენ.

„ჯიქიას ტრავმა ჰქონდა და მკურნალობდა, ახლა კი ჯანზეა და მისი იმედი გვაქვს" — გვითხრა „ბათუმის" თავკაცმა ამირან გოგიტიძემ.

ზღვისპირელებმა სანაკრებო პაუზით გამოწვეული შესვენებისას ერთი ტესტ-მატჩი ჩაატარეს და ქუთაისის „ტორპედოს" 1:1 გაეყარნენ. ბათუმელთაგან გოლი ბეჟანიძემ შეაგდო, ქუთათურთაგან კი დავით გამეზარდაშვილმა პენალტით გაიტანა.

სეზონის წინ „ბათუმს" ძალიან სუსტი შემადგენლობა ჰყავდა, თუმც ალეკო კოშკაძის, ამირან მუჯირისა და ახლა ჯიქიას შემატებით იმდენს მაინც გაახერხებენ, რომ გავარდნა-არგავარდნაზე არ მოუწიოთ ფიქრი.

ბათუმში ახალი სტადიონი რომ შენდება, ადრეც ვწერდით, თუმცა ეს ჯერ არ დაწყებულა — ისიც უცნობია, როდის და ვისი დაფინანსებით აშენდება ახალი სტადიონი.

**ილია ნანობაშვილი**

# კოკას წყალი ისრაელშიც ისმება




**სამწუხაროდ,** ასეთია რეალობა: წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარმეგოლე და ჩემპიონი გუნდის აშკარა ლიდერი ისრაელის მეორე ლიგაში ბურთაობს — ბოლნისის „სიონმა" რომ ისტორიულ წარმატებას მიაღწია, თქმა არ უნდა, ყველაზე დიდი წვლილი კოკა მიკუჩაძისა იყო.

მიკუჩაძე ბეერ-შევას „ჰაპოელშია", რომელიც მეორე ლიგის ერთ-ერთი ლიდერია და მის უძლიერესებში გადასვლაში ეჭვი თითქმის არავის ეპარება.

ბეერ-შევას „ჰაპოელი" ოთხი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა. მიკუჩაძემ კი ამ ოთხ ტურში ოთხი გოლი შეაგდო (სულ მის გუნდს 7 ბურთი აქვს გატანილი). ბოლო ტურში 25 წლის ფორვარდმა სტუმრად „ბნეი ლოდთან" მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში, ბეერშეველებმა 3:1 მოიგეს.

მიკუჩაძემ „სიონში" ბოლოს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა — აზერბაიჯანულ „ბაკისთან" 2:0 მოგებულ შეხვედრაში.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები ანდორაში

**გუშინ** ევროპაში მრავლად სანაკრებო თამაშები იყო და ერთ-ერთის მსაჯთა ბრიგადა ქართული გახლდათ. ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის E ჯგუფში ანდორა — მაკედონიას (0:3) ლაშა სილაგავა (არბიტრი), მამუკა ელიკაშვილი, გურამ ჩიგოგიძე (ასისტენტები) და ლევან ფანიაშვილი (მეოთხე მსაჯი) მოემსახურნენ.



**ლუკა თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამამისის შვილს რონალდინიო უნდა
## მე გავიხდი, შენ ჩაგაცმევ



**იტალიაში** არ ცხრება ჭორები რონალდინიოს „მილანში" შესაძლო გადასვლის შესახებ. „როსონერის" მფლობელი სილვიო ბერლუსკონი ბრაზილიელი ვარსკვლავის ძმასა და აგენტს რობერტო ასისს შეხვდა და ალბათ, ერთ-ერთი მთავარი თემა სავარაუდო ტრანსფერი იყო.

მართალია, „ბარსელონა" ირწმუნება, რონალდინიო ხელშეუხებელიაო, ფეხბურთელმა შეიძლება, მალე კატლონიელებთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაახანგრძლივოს, მაგრამ „მილანი" მომავალი ზაფხულისთვის წინადადებას ამზადებს. სილვიო ბერლუსკონი ბრაზილიელით აღფრთოვანებულია და მისი „სან სიროზე" წაყვანა სწადია. იგივე სურს მის ვაჟ პიერსილვიოსაც.

„რონალდინიო დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ უნდა ვნახოთ, როგორ ითამაშებს „მილანი" ამ სეზონში. მხოლოდ ამის მერე, 2007 წლის ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე შეგვეძლება აქტიურობა" — თქვა პიერსილვიო ბერლუსკონიმ.

„ერთად ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობთ და ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ხოლო თუ „მილანში" გადმოვა, ძალიან გამიხარდება. ჩვენ ისედაც ბევრი ჩემპიონი გვყავს, მაგრამ რონალდინიო კიდევ უფრო გაგვაძლიერებს" — ეს კი „როსონერის" ბრაზილიელი პლეიმეიკერის კაკას სიტყვებია.

რონალდინიოს „მილანში" კლარენს ზეედორფმაც უხმო. „როსონერისთან", „რეალთან" და „აიაქსთან" ერთად, ჩემპიონთა ლიგის მომგებმა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ისიც თქვა, ბრაზილიელს ჩემს მაისურას სიამოვნებით დავუთმობო. ზეედორფი „მილანში" ახლა ათნომრიანი მაისურით თამაშობს.

საქმე ისაა, რომ თუ რონალდინიო მართლაც გადავა „მილანში", აუცილებლად თავის საყვარელ ათნომრიან მაისურას მოითხოვს. ცოტა ხნის წინ მან გასაყიდად სპეციალური მაისურებიც კი გამოუშვა, რომელთაც „R10" აწერია.

„თუ იგი „მილანში" გადმოვა, მაისურასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ექნება. 10 ნომერს უპრობლემოდ დავთმობ. ეს ტრანსფერი ძალიან გაგვახარებს, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. საკითხავია, მოულაპარაკება თუ არა ჩვენი პრეზიდენტი მათსას და თავად რონალოდინიო რას ისურვებს" — აღნიშნა ზეედორფმა.

**ქოქი ქანდელაკი**

# თვის ბოლოს გამოიარეთ



ჯოვანი კობოლი ჯილი

**გუშინ** დილით, როგორც მოსალოდნელი იყო, ტურინის „იუვენტუსმა" იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაცია შეიტანა, სადაც „ბებერი ქალბატონის" ადვოკატებს ორი საათი უსმენდნენ. „იუვენტუსს" იმედი აქვს, რომ წინა განაჩენის შემდეგ დარჩენილ მინუს 17 ქულას მთლიანად ჩამოაშორებენ, ანაც კიდევ უფრო შეუმცირებენ.

მოგვიანებით „იუვენტუსს" „მილანი" და „ლაციოც" მიჰყვნენ, „ფიორენტინას" აპელაციას კი საარბიტრაჟო სასამართლოში დღეს ელიან. ეს სასჯელის შემსუბუქების ბოლო მცდელობა იქნება. სპორტულ სამყაროში უმაღლესი სასამართლო ორგანოს, ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლოს განაჩენის შემდეგ, კლუბებს გასაჩივრება მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოში შეეძლებათ, მაგრამ ამაზე არ წავლენ, რადგან ეს უეფას წესებით აკრძალულია და მთელ იტალიურ ფეხბურთს სერიოზული პრობლემები შეექმნება.

„ველოდებით, რომ მინუს ქულებს ჩამოგვაშორებენ. ისედაც ზედმეტად დავისაჯეთ. ჩვენს ადვოკატებს მყარი არგუმენტები აქვთ. ასე რომ, დარწმუნებულნი ვართ, სასურველ განაჩენს მივიღებთ" — თქვა „იუვენტუსის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

მიუხედავად საარბიტრაჟო სასამართლოზე არსებული ზეწოლისა, სეზონი უკვე დაწყებულია და განაჩენი დროულად გამოიტანეთო, იტალიური პრესის ცნობით, ვერდიქტს თვის ბოლომდე არ უნდა ველოდოთ.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ლუჩანო მოჯი: ფედერაცია მიჰქარავს!
## დონადონის იტალია ძმაკაცმა `აჩუქა

**ტურინის** „იუვენტუსის" ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა და მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალის მთავარმა გმირმა ლუჩანო მოჯიმ აღნიშნა, რომ „სკუადრა აძურას" მწვრთნელად რობერტო დონადონის დანიშვნა არასწორი გადაწყვეტილება იყო. მისი თქმით, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ბევრ სხვა შეცდომასაც უშვებს.

„მათ, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, სამწუხაროდ ფეხბურთი კარგად არ ესმით. არა იმიტომ, რომ დონადონი დანიშნეს, არამედ იმიტომ, რომ სწორი არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში კლაუდიო ჯენტილეს შეცვლაც ამაზე მეტყველებს. ეს მცდარი ნაბიჯი იყო, როგორც კიდევ ბევრი რამ, რაც ფედერაციამ გააკეთა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დონადონი იმიტომ დანიშნეს, რომ ფედერაციის უკვე ყოფილი ჩინოსანის დემეტრიო ალბერტინის მეგობარია" — განაცხადა მოჯიმ.

ამას, დანადონის კრიტიკა და მის გამოუცდელობაზე საუბარი მოჰყვა. მოჯიმ მარჩელო ლიპი შეაქო, რომელთან ერთადაც „იუვენტუსში" მრავალი წელი უმუშავია.

ლუჩანო მოჯი: „დონადონი ძალიან მნიშვნელოვან პოსტზეა და ეს კარგად უნდა გაიაზროს. „სკუადრა აძურას" გადახალისება სჭირდება და რამდენიმე ფეხბურთელს უნდა დავემშვიდობოთ მათი ასაკის გამო. თუმცა ეს სწორად და ჭკუით უნდა გაკეთდეს. ის კი შეცდომებს უშვებს. მან ყურადღება ზოგიერთი მოთამაშის ფიზიკურ კონდიციაზე უნდა გაამახვილოს და ტაქტიკურ მონახაზებზე იფიქროს. სხვათა შორის, ახლა ნაკრებში მოულოდნელად ის ფეხბურთელები დააბრუნა, რომლებიც საჭირონი არიან. ლიპის კი ერთი მატჩის მსვლელობისას გუნდის ორ-სამჯერ გადაწყობა შეეძლო, მეეჭვება დონადონის იგივე შეეძლოს".

**გიორგი ქაქაბაძე**

# კადაფების მადა
## ალ საადის იუვეზე ნერწყვი მოსდის

**ალ საადი კადაფის** განცხადებით, მის ოჯახს „იუვენტუსის" აქციების შეძენა და ანიელების ოჯახის შემდეგ, რომელიც კლუბის ისტორიული და ტრადიციული მმართველია, ყველაზე მსხვილი აქციონერობა სურს.



ალ საადი კადაფი

მუამარ კადაფის ვაჟმა ისიც აღნიშნა, გვინდა „იუვეში" უფრო მეტი ფული ჩავდოთ და ეს კლუბს წაადგებაო. კადაფები აქციების შვიდ პროცენტს უკვე ფლობენ.

„გვინდა კლუბში სოლიდური ინვესტიცია ჩავდოთ და ყველაზე მსხვილი აქციონერები გავხდეთ, რა თქმა უნდა, ანიელების ოჯახის შემდეგ. ჩვენი სურვილია „იუვენტუსის" მნიშვნელოვან პარტნიორად ვიქცეთ. თუმცა ჯერ გარკვეული დეტალებია მოსაგვარებელი, რაღაცეები კი დასაგეგმი. აქციების შეძენა ნამდვილად გვსურს, მაგრამ ჯერ არ ვიცით როდის დავაპირებთ ამას" — თქვა ალ საადი კადაფიმ.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსს" ახლა ინვესტიცია და ფინანსური დახმარება მართლაც სჭირდება. სერია B-ში დაქვეითების მერე კლუბს სერიოზული პრობლემები შეექმნა და ელიტაში ადგილის დასაბრუნებლად ფინანსური კეთილდღეობაც ესაჭიროება. მით უმეტეს, რომ ანიელების ოჯახი ბოლო დროს თავიანთ საავტომობილო კომპანია FIAT-ს უფრო აქცევს ყურადღებას.

დაბოლოს, ალ საადი კადაფიმ ისიც თქვა მალე სერია A-ში დავბრუნდებიო. „პერუჯასა" და „უდინეზეს" ყოფილი ნახევარმცველი შესაძლოა, „სამპდორიაში" აღმოჩნდეს. გავრცელებული ცნობით, იგი გენუელთა შეფმა რიკარდო გარონემ მიიწვია.

**გიორგი ქაქაბაძე**




ლუსიომ სტოკჰოლმში იფრინა



# კენგურუ და გიჟები სტადიონზე

**ფრედის** და კაკას გოლებით ბრაზილიამ ათკაცა ეკვადორს მოუგო ამხანაგურ მატჩში, რომელიც სტოკჰოლმში გაიმართა და იქაურ პოლიციას არაერთხელ მოუხდა მოედანზე შესვლა. ხან ვინ შევარდებოდა მინდორზე და ხან ვინ, ბრაზილიელ ვარსკვლავებთან ჩასახუტებლად.

ეკვადორის ძირითად შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდიდან რვა ფეხბურთელი იყო, ანგარიში კი ფელიქს ბორხამ გახსნა, მაგრამ აქედან ექვს წუთში ლუის ანტონიო ვალენსია გააძევეს.

რონალდინიო სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ხოლო ბრაზილიამ ეკვადორელი მცველების შეცდომის წყალობით, ფრედის გოლით გაათანაბრა.

კარლოს დუნგას ხელში ბრაზილიელებმა ოთხი მატჩი ითამაშეს და ჯერ არ წაუგიათ. „ჩვენ რომ სწორ გზაზე ვდგავართ, ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა“ — განაცხადა მწვრთნელმა.

თამაშის დასაწყისში გოლის გატანის შანსი კაკას და რობინიოს ჰქონდათ, მაგრამ მეკარე კრისტიან მორამ ორივეჯერ იყოჩაღა. მისმა ბრაზილიელმა კოლეგა გომესმა კი 23-ე წუთზე გუნდი ვერ იხსნა. ედისონ მენდესმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და ფელიქს ბორხამ — მეტსახელად „კენგურუ“ — თავური დარტყმით ეკვადორი დააწინაურა.

ამ გოლს მოჰყვა ორმხრივი უხეშობა, რასაც საბოლოოდ ეკვადორელი ლუის ანტონიო ვალენსია „შეეწირა“. ბურთისთვის ბრძოლისას დუდუ ვალენსიას ყელში სწვდა, ეკვადორელმა კი იდაყვი ჰკრა მკერდში და ბრაზილიელი მოცელილივით დაეცა, თან სახეზე ხელები აიფარა, ცხვირპირში მომარტყაო. „უიგანის“ ფორვარდი ლუის ვალენსია მსაჯმა გააძევა და კაცმეტმა ბრაზილიელებმაც უპირატესობით ისარგებლეს. ჯერ რობინიოს დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს, მერე კი მცველ ესპინოზას ფრედმა არ აპატია შეცდომა და 12 მეტრიდან გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ დუდუ რონალდინიომ შეცვალა და ბრაზილიამაც მარწუხებს მოუჭირა. ბარსელონელის პასით კაკამ „პენტაკამპეონები“ დააწინაურა, მანამდე კი მანვე კრისტიან მორას კარის ჩარჩო შეაზანზარა.

რონალდინიომ, რომელსაც შარშან ზაფხულს აქეთ ნაკრებში გოლი არ გაუტანია, შეხვედრის მიწურულს ორჯერ შეასრულა ჯარიმა და ორჯერვე ძელს გაარტყა ბურთი.

**ირაკლი ნინიძე**



როდრიგო პალასიოს (მარცხნივ) „ბარსა“ ეპატიჟება

# ხუან ლაპორტა ბოკას ვარსკვლავს ეთამაშება

**„ბარსელონა“** „ბოკა ხუნიორსის“ ვარსკვლავ როდრიგო პალასიოს შეძენით დაინტერესდა. როგორც არგენტინული მედია გვამცნობს, კატალონიური კლუბის პრეზიდენტი ლაპორტა „ბოკას“ თავკაც მაურისიო მაკრის შეხვდა და პალასიოს „კამპ ნოუზე“ შესაძლო გადასვლის შესახებ მოეთათბირა.

„ბოკა ხუნიორსი“ თავის ფეხბურთელს 18 მილიონ ევროდ აფასებს. პრეზიდენტებმა რა გადაწყვიტეს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა თავად როდრიგო პალასიომ განაცხადა, რომ „ბარსას“ დარ გრანდში სიამოვნებით ითამაშებს.

ხუან ლაპორტას კლუბი პალასიოს გარდა, იმავე „ბოკას“ ფერნანდო გაგოს და „ინდეპენდიენტეს“ ოსკარ უსტარის ყიდვასაც აპირებს. არგენტინული გაზეთები აცხადებენ, რომ სენიორ ლაპორტა გახურებულ სატრანსფერო მოლაპარაკებებშია ჩართული.

ინგლისურმა **NEWS OF THE WORLD**-მა კი კიდევ ერთი „ბარსაში“ გადასვლაზე მეოცნებე ჯეელის შესახებ გვამცნო. ეს ელ ჰაჯი დიუფია, „ბოლტონის“ სენეგალელი მოიერიშე. „ყოველთვის „ბარსელონაში“ თამაში მინდოდა. ახლა „ბოლტონ უონდერერსის“ წევრი ვარ და მთელ ძალას და ენერგიას ამ კლუბის წარმატებას ვახმარ, თუმცა, თუ თავი გამოვიჩინე, გაისად ეგებ „ბარსელონამაც“ დამიძახოს. ჩემი შრომა მომავალში დაფასდება“ — ამბობს აფრიკელი ფორვარდი.

25 წლის ელ ჰაჯი დიუფი ექსლივერპულელია და აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც ორჯერ (2001, 2002) აურჩევიათ. დღეს იგი „ბოლტონის“ „რიბოკ სტედიუმის“ ფანთა ფავორიტია, თუმცა, იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან, „კამპ ნოუსაც“ მოხიბლავს.

**ლადო ხომერიკი**

# ნეაპოლი მადრიდელი ხულიგნის ქალაქია




**მადრიდის** „რეალის“ იტალიელმა აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ ანტონიო კასანოს მოულოდნელად „ნაპოლიში“ გადასვლა ურჩია. გასულ იანვარში, „ხულიგანის“ „რომადან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგებაში მან დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ახლა ბრონძეტი მიიჩნევს, რომ კასანოს ძველებურად ათამაშებაში ნეაპოლური კლუბი დაეხმარება, რომელიც ამჟამად სერია B-შია, მაგრამ უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

„ვფიქრობ, „ნაპოლი“ მისთვის ძალიან კარგი იქნება. კასანო ისეთი სტილის მოთამაშეა, რომელსაც სჭირდება შეგრძნება,რომ მნიშვნელოვანი ფიგურაა და ფანები მისით აღფრთოვანებულნი არიან. ამისთვის კი მუდამ ძირითად შემადგენლობაში თამაშია საჭირო. ამიტომ „ნაპოლი“ საუკეთესო ვარიანტად მიმაჩნია. ამ გზით ანტონიოს ნიჭი არ დაიკარგება“ — თქვა ბრონძეტიმ.

კასანოს „რეალში“ ძალიან მცირე სათამაშო დროს აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელებს ახლა მისი ძველი ნაცნობი ფაბიო კაპელო წვრთნის. ამის გამო „ხულიგანმა“ ეროვნულ ნაკრებშიც დაკარგა ადგილი. ასე რომ, „რეალიდან“ წასვლას, ალბათ თავად ფეხბურთელიც ისურვებს, მაგრამ რამდენად ხიბლავს მას „ნაპოლის“ პერსპექტივა, ეს ჯერ უცნობია.

ერნესტო ბრონძეტი: „ყველამ ვიცით, რომ კასანო ბრაზდება, როცა არ ათამაშებენ. ეს მას შესაძლებლობების გამოვლენაში უშლის ხელს. „რეალში“ კი ახლა ყველაფერი ნათელია, წამყვან ფორვარდებად რუუდ ვან ნისტელროი და რონალდო ითვლებიან, ხოლო რეზერვებად რაული და რობინიო“.

**კოკი კანდელაკი**





დელიო როსი ნედვედს მისტირის

# დელიოს აუხდენელი ნედვედი

**იტალიური** „ლაციოს“ თავკაცის დელიო როსის ოცნება, ვეტერანი ჩეხი ნახევარმცველის პაველ ნედვედის გაწვრთნა ყოფილა. მოგეხსენებათ, თავის დროზე, ნედვედი სწორედ დედაქალაქელებიდან გადავიდა „იუვენტუსში“, მაგრამ როსი მაშინ „ლაციოში“ არ იყო.

„ყოველთვის მინდოდა ჩემს გუნდში პაველ ნედვედი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ეს ოცნება ალბათ აღარ ამისრულდება. ჩეხ ფეხბურთელს ყველა ის თვისება აქვს, რომელიც თანამედროვე პროფესიონალს სჭირდება. ასევე დიდი სიამოვნებით გავწვრთნიდი ლიონელ მესის. მჯერა, რომ იგი 21-ე საუკუნის დიეგო მარადონაა“ — აღნიშნა „ლეჩესა“ და „სალერნიტანას“ ყოფილმა მწვრთნელმა.

შემდეგ როსიმ ისიც თქვა, არ ვნანობ „ლაციოს“ მწვრთნელი რომ გავხდი, აქ სიამოვნებას ვიღებო. მან დაიცვა კლუბის პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტოც. კალჩოპოლის სკანდალის მერე, „ბიანკოჩელესტის“ ქომაგთა დიდი ნაწილი კლუბის წარუმატებლობას ლოტიტოს აბრალებს და მის წასვლას ითხოვს.

„ლოტიტო საუკეთესო პრეზიდენტია, რომელიც შეიძლება მწვრთნელს ჰყავდეს. იგი კლუბზე ყველანაირად ზრუნავს და მატჩებამდე არ იცის, თუ რა შემადგენლობით ვითამაშებთ. ასევე, გუნდს ხშირად არ სტუმრობს და არც მე მაწუხებს სატელეფონო ზარებით. ეს ჩემთვის ურთიერთობის იდეალური გარანტია. მშვიდად მუშაობის საშუალება მეძლევა და ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რის გამოც „ლაციოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე“ — დასძინა როსიმ.

**კოკი კანდელაკი**

ხოსე ემილიო ამავისკა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მადრიდის „რეალში“ ათი წლის წინ თამაშობდა, ანუ მაშინ, როცა ფაბიო კაპელო „სამეფო გუნდში“ პირველად მივიდა. იგი ახლა კომენტატორად მუშაობს და პრიმერადივიზიონის მატჩებს უძღვება ხოლმე. ამავისკას მადრიდული „ასი“ „რეალზე“ გაესაუბრა



# ამავისკა: კაცი რკინის სერჟანტის რაზმიდან

**— როგორი იყო ფაბიო კაპელო ათი წლის წინ?**

— რაც მთავარია, მის ხელში ესპანეთის ჩემპიონები გავხდით. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, რომლის დამარცხებაც რთული იყო. კაპელო ახლაც იგივეს გაკეთებას ცდილობს.

**— როცა იგი გუნდში მოვიდა, ყველა „რკინის სერჟანტს“ ეძახდა. მართლა ძნელი იყო მასთან მუშაობა?**

— დიახ, მაგრამ პირადად მე ყოველთვის მომწონდა დატვირთული ვარჯიშები. ზოგჯერ მართლაც ვიტანჯებოდით, თუმც კმაყოფილი ვიყავი, რომ ამდენ მუშაობას მაიძულებდნენ, რადგან მე ამას მარტო ვერ შეძლებდი.

**— ხედავთ რაიმე განსხვავებას მაშინდელ და ახლანდელ კაპელოს შორის?**

— ვფიქრობ, იგი დიდად არ შეცვლილა. მისი ყველა გუნდი ძლიერი იყო — „მილანი“, „რომა“, „იუვენტუსი“... ყველგან რაღაც მოიგო და ისევ იმავე მეთოდებს იყენებს. როცა სათადარიგოთა სკამზეა, იგი ისევე ბრაზდება შეგირდების შეცდომებზე, როგორც ადრე.

**— თქვენი გუნდი უფრო ძლიერი იყო, თუ მას ახლანდელი სჯობია?**

— არ ვიცი, ძნელი სათქმელია. თუმცა მე ძველი გუნდი უფრო მომწონს, რადგან მასში მეც ვთამაშობდი.

**— თანაც მაშინ „რეალში“ რედონდო იყო...**

— მართალია, ახლანდელ „რეალს“ რედონდო რომ ჰყავდეს, ნამდვილი მანქანა იქნებოდა. ამით ყველაფერი ნათქვამია.

**— როგორ ფიქრობთ, ექნება კაპელოს დრო, რომ ისევ საჩემპიონო გუნდი შექმნას?**

— დიახ, მას საკმარისი დრო აქვს. თითოეულმა მოთამაშემ იცის, რომ ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, რადგან კაპელოსთვის სახელებს მნიშვნელობა არ აქვს. ფეხბურთელებს მხოლოდ შრომის მიხედვით აფასებს. იგი მხოლოდ იმათ ათამაშებს, ვინც ბევრს და კარგად იშრომებს. ამას არც მალავს და პირდაპირ გეუბნება. კაპელო ყოველთვის ძალიან მომთხოვნია და ახლა ეს ევალება კიდეც, რადგან მსოფლიოს საუკეთესო გუნდშია.

**— კაპელო მხოლოდ საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობს?**

— მახსოვს, ათი წლის წინაც ამგვარი საუბრები იყო, მაგრამ სეზონის სტატისტიკამ დაადასტურა, რომ არც ისე ჩაკეტილ ფეხბურთს ვთამაშობდით. ჩვენ იმაზე მეტი გავიტანეთ, ვიდრე ქომაგები ვარაუდობდნენ. კაპელოს დისციპლინა უყვარს და ნერვიულობს, თუ მისი გუნდის კარს მეტოქე ერთხელ მაინც მიუახლოვდება. ამ წლების მანძილზე მას კიდევ უფრო მოემატა გამოცდილება. კაპელოს კარგი ფეხბურთი უყვარს და არა მხოლოდ კარგი დაცვა. შესაძლოა, მისთვის ბევრად მისაღებია 1:0-ის მოგება, ვიდრე 6:5-ის, რადგან არ სიამოვნებს, როცა გოლებს უშვებს და ყოველთვის მოგება უნდა.

**— „ბარსელონა“ ერთი თავით მაღლაა პრიმერადივიზიონის სხვა გუნდებზე...**

— „ბარსელონა“ [illegible] წყინვალე ფეხბურთს თამაშობს. კატალონიელებს დაბალანსებული გუნდი ჰყავთ და მეტოქეებზე ერთი ნაბიჯით წინ არიან, თუმცა ოდნავადაც არ უნდა მოდუნდნენ. „ბარსას“ სერიოზულ მეტოქეობას „რეალი“, „ვალენსია“ და „სევილიაც“ კი გაუწევს.

**— ემერსონი მოლოდინს ვერ ამართლებს...**

— მას დრო სჭირდება და ძველებურად ათამაშდება. თანაც კაპელო მას ხუთი თითივით იცნობს. ნათელია, რომ ემერსონი ისეთი არ არის, როგორიც „იუვენტუსში“ იყო. თუმცა ტურინელთა რიგებში თამაში დიდწილად მასზე იყო აგებული და პარტნიორებსაც კარგად იცნობდა. ახლა იგი ახალ კლუბშია და ცოტა უჭირს.

**— რაული ნაკრებში არ გამოიძახეს. ეს მას დაეხმარება და წააქეზებს თუ პირიქით?**

— რაული ყოველთვის იყო და არის ფენომენი. ახლა მის თავმოყვარეობას შეეხნენ და მჯერა, იგი კიდევ უფრო უკეთ ათამაშდება. ვფიქრობ, მას პრობლემები მენტალიტეტმა შეუქმნა, რადგან მუდამ თამაში უნდოდა. ცოტა დასვენების საშუალება რომ მივცეთ, იგი ისეთი გახდება, როგორიც ადრე იყო. მისით აღფრთოვანებული ვარ. რაულმა უკვე იმდენი რამ მოიგო, რომ ბევრი მის ადგილას ცხოვრებით ტკბობას დაიწყებდა, მაგრამ იგი კვლავ შემართულია და ახალი გამარჯვებებისკენ მიილტვის.

# ვიერის შახტიდან ამოსძახეს



**ვეტერანი** იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი შესაძლოა, მალე დონეცკის „შახტარში“ ვიხილოთ. უკრაინელებს მისთვის ოთხთვიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ, რომელზე ხელმოწერის შემთხვევაშიც „ბობო“ მილიონ ევროს მიიღებს და პლუს, გატანილი გოლებისა და კლუბთან ერთად მოგებული ტიტულების შემთხვევაში პრემიებიც ექნება. გავრცელებული ცნობით, იგი უკრაინაში უახლოეს დღეებში ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას გამართავს.

„ბობო“ ამ ზაფხულს „სამპდორიაში“ გადავიდა, მაგრამ კლუბთან კონტრაქტი მალევე გაწყვიტა და მერე „ატალანტაში“ ჩაირიცხა. ბერგამოელთა რიგებში იგი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ დადგენილ მინიმალურ ხელფასს, 1500 ევროს დასთანხმდა. გარდა ამისა, „ატალანტას“ ხელმძღვანელობა მას ყოველ გატანილ გოლზე 100 ათას ევროს შეჰპირდა. თუმცა ვიერის ბერგამოელთა რიგებში ჯერ ერთი წუთიც არ უთამაშია. გუნდის მწვრთნელი სტეფანო კოლანტუნო მას დიდად არ ენდობა. ასე რომ, „შახტარის“ წინადადება ვეტერანი თავდამსხმელისთვის მართლაც მიმზიდველია.

მრავალ კლუბგამოვლილ ვიერის ანგარიშზე, სერია **A**-ს 223 მატჩში 131 გოლია. პრიმერადივიზიონში მადრიდის „ატლეტიკოს“ რიგებში 24 შეხვედრაში ამდენივე შეაგდო, ხოლო ფრანგული „მონაკოს“ მაისურით შვიდ თამაშში სამჯერ იხეირა. გარდა ამისა, „ბობოს“ ევროსარბიელზე 30 გოლი აქვს გატანილი. „სკუადრა აძურას“ ღირსება კი 49-ჯერ დაუცავს და მის ანგარიშზე 23 ბურთია.

**ბოძი ბანდელაძი**

# საუთგეიტს ვადა გასდის



**შესაძლოა,** „მიდლსბრო“ უმენეჯეროდაც კი დარჩეს ამ შუა სეზონში. სულ ერთი თვე დარჩა იქამდე, რომ კლუბმა პრემიერლიგის უფროსობა გარეთ საუთგეიტის თანამდებობაზე დაითანხმოს.

36 წლის საუთგეიტი „ბოროს“ მენეჯერად სტივ მაკლარენის ნაკრებში წასვლის შემდეგ დაინიშნა. თუმცა, მას უეფას სამწვრთნელო ლიცენზია არა აქვს და ასეთ კაცს პრემიერლიგის კლუბის სათავეში სეზონის დაწყებიდან მხოლოდ 12 კვირის მანძილზე აჩერებენ. თუ არა და საგანგებო ნებართვაა საჭირო. „ბოროს“ პატრონი სტივ გიბსონი და დირექტორი კიტ ლემი ამბობენ, რომ საუთგეიტი საგანგებო ვითარებაში, პირდაპირ ფეხბურთელობიდან მოვიდა მენეჯერად და ლიცენზიის აღების დრო ფიზიკურად არ ჰქონდა. თანაც, კლუბმა მაკლარენი იმიტომ გაუშვა, რომ ის ნაკრებს სჭირდებოდა.

სავარაუდოა, რომ „ბორო“ მენეჯერის შენარჩუნებას მოახერხებს.



# ემრეს ოჯახი ვერ გაჯორდდა

**„ნიუკასლისა“** და თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი ემრე ბელოზოღლუ ამ ზამთარს სერია **A**-ში დაბრუნებას აპირებს. იგი 2005 წელს გადავიდა „ინტერიდან“ „ჯორდებში“, მაგრამ გაირკვა, რომ მისი ოჯახი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქს ვერ შეეჩვია. ამიტომაც სურს თურქს იტალიაში დაბრუნება.

იტალიური მედიის ცნობით, ემრემ თავის აგენტ აჰმეთ ბულუტს უკვე დაავალა სერია **A**-ში კლუბის მოძებნა. ასეთები კი იტალიაში „მილანი“ და „პალერმოა“. თავის დროზე „ნიუკასლმა“ თურქი ნახევარმცველის სანაცვლოდ „ინტერს“ ოთხი მილიონი გირვანქა გადაუხადა და ახლა ემრეს ფასი ამაზე მეტი არ იქნება.

შეგახსენებთ, რომ უეფას თასზე „პალერმო“ და „ნიუკასლი“ ერთ ჯგუფში არიან და როცა ერთმანეთს შეხვდებიან, სიცილიურ კლუბს ემრეს თაობაზე ინგლისელებთან მოლაპარაკების შანსი ექნება.

ამბობენ, რომ „იუვენტუსსაც“ აინტერესებს ემრე, მაგრამ თავადაც იცით, რომ „იუვე“ სერია **B**-შია და თურქს დაბალ ლიგაში თამაშის პერსპექტივა მაინცდამაინც არ უნდა ხიბლავდეს.

**რომან თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰკა მაგას!
## ნალუდარი წითლები პამპლონის ქუჩებში




„ულტრას სური“ პირინეებზე სხვაზე უკეთ „ესპანიოლის“ ინჩასებს უგებს, ორივეს „ბარსელონა“ ეზიზღება და „კამპ ნოუს“ წინააღმდეგ საერთო ფრონტით გამოდის. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სვასტიკა ახლაც ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ რჩება, თუმცა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ნაცისტური პროპაგანდა აშკარად შესუსტდა. დაჯგუფებაში მოვიდნენ „შარპები“ (ფერადკანიანებისა და ებრაელებისადმი ლოიალურად განწყობილი სკინჰედები) და „გლორი ჰანტერები“ (გულშემატკივართა ნაწილი, რომელიც ჯილდოებზე ნადირობს და კრიზისის დროს სხვა, უფრო ძლიერ ბანაკებში გადადის). ამან ულტრასთა ძველი, ერთგული ფაშისტური ფრთა გაანაწყენა და მათმა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად „ბერნაბეუს“ უგანა. მადრიდში თვლიან, რომ ყველაფერში „რეალის“ ექსპრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და მისი „ვაჭრულ-ებრაული“ პოლიტიკაა დამნაშავე.

### ყველაზე ორგანიზებულები

დაჯგუფების სახელი: **YNDAR GORRI** („წითლები“). კლუბი: „ოსასუნა“. რაოდენობა: 200 ინჩასი. იდეოლოგია: მემარცხენე, პატრიოტები. მეგობრები: **BOIXOS NOIS** („ბარსელონას“ დაჯგუფება), **ABERTZALE SUR** („ატლეტიკოს“ დაჯგუფება), **PENA MUJIKA** („სოსიედადის“ დაჯგუფება). მტრები: **ULTRAS SUR** („რეალის“ დაჯგუფება).

როცა „ოსასუნას“ ბრიგადას ხედავ, ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ დაჯგუფების წევრები ერთმანეთს არასდროს სცილდებიან. ყველა შაბათ-კვირას წითელ მაისურებში გამოწყობილი „ინდარ გორი“, დაახლოებით ორასამდე კაცი, ჯერ პამპლონას სერვესერიებში (ლუდხანა) ბარაქიანად სვამს და მერე ქალაქში მშვიდობიანი მარშის მაგვარ მსვლელობას აწყობს. შექეიფიანებულ ინჩასთა ქუჩებში ერთად ბორიალი პამპლონას დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. ნავარელთა დაჯგუფება კი მართლა ყველაფერს ერთად აკეთებს: სტადიონზე მიდიან, შინაური მატჩების შემდეგ ქალაქის ყველაზე დიდ ბარში იკრიბებიან და თამაშის პერიპეტიებს არჩევენ. თუ საჩხუბარია, იცოცხლე, „ინდარ გორი“ სისხლიან ომებშიც ერთსულოვნად ებმება. ესპანეთში „ოსასუნას“ ბრიგადას ყველაზე ორგანიზებულ დაჯგუფებად თვლიან, „ინდარ გორის“ წევრებს შორის სიტყვიერი შეკამათებაც იშვიათად ხდება, ცემა-ტყეპას თავი რომ დავანებოთ... ერთი სიტყვით, ნავარელები კარგად ორგანიზებულ, რეგულარულ არმიასავით არიან.

„წითელი“ ფრონტი „ანტიმადრიდისტას“ ღირსეულ წევრად ითვლება. როცა „ბარსას“ მებრძოლთა ფრთამ, **BOIXOS NOIS**-მა, მადრიდის „რეალის“ საწინააღმდეგო მოძრაობის მეთაურობა მთელი სამი წლით უარყო, „ანტიმადრიტისტას“ სათავეში პრაქტიკულად „ოსასუნას“ ინჩასები ედგნენ. „წითლებმა“ ყველა ესპანური გრანდი გუნდის გულშემატკივრებს აბრეშუმის პლაკატი გაუგზავნეს, რაზეც „რეალის“ გადახაზული ლოგო ეხატა. ეს პლაკატი „რიასორზე“ დღესაც გამოაქვთ. თუ კარგად დააკვირდებით, „დეპორტივო“ — „რეალის“ მატჩების დროს კარის უკან გაშლილ ანტიმადრიდულ დროშასაც დაინახავთ...

„ოსასუნას“ ძმაკაცი უცხოეთში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაა“. წელიწადში ერთხელ ნავარელთა დაჯგუფება შავ სამკლავურს იკეთებს სერბი არკანის საპატივცემულოდ. ეს არკანი ჯომარდი ვინმე იყო და დალუპვამდე — „ცრვენა ზვეზდას“ დაჯგუფებას „დელიეს“ მეთაურობდა. პირინეელი „წითლებიც“ მეგობარ დაჯგუფებების გარდაცვლილ ლიდერს დიდ პატივს სცემენ... ისე კი „ინდარ გორი“ „წითელ ასოს“ უფრო ნიშნავს... უცნაურია, მაგრამ პამპლონელ გულშემატკივრებს ეს სახელი არ ეხამუშებათ, პირიქით, ეამაყებათ, როცა ასე მიმართავენ...

### ყველაზე უცხოები

დაჯგუფების სახელი: **BRIGADAS BLANQUIAZULES** („თეთრ-ცისფერი“ ბრიგადები“). კლუბი: „ესპანიოლი“. რაოდენობა: 250-300 ინჩასი. იდეოლოგია: ფაშისტები. მეგობრები: **ULTRAS SUR** („რეალის“ დაჯგუფება). მტრები: **BOIXOS NOIS** („ბარსელონას“ დაჯგუფება), **ABERTZALE SUR** („ატლეტიკოს“ დაჯგუფება), **PENA MUJIKA** („სოსიედადის“ დაჯგუფება).

„ესპანიოლი“ კატალონიის გულში უხერხულად გაჩხერილი ესპანური „კუნძულია“. ვინც თავს კატალონიის პატრიოტად თვლის და გული სეპარატისტულად ერჩის, ამ გუნდს პრინციპულად არ ქომაგობს. კლუბი შუაგულ ბარსელონაშია დაბანაკებული, თუმცა ყოველგვარი კატალონიურის მტერია და სახელიც შესაფერისი აქვს (**ESPANOL** — ესპანელი). ცხადია, კატალონიელებს, მათ შორის „ბარსას“ ქომაგებს, „თუთიყუშები“ („თეთრ-ცისფერ ბრიგადებს“ ამ სახელითაც იცნობენ) სასტიკად სძულთ და მათ შორის სისხლიანი შეტაკებებიც ხშირად იმართება.

„თუთიყუშები“ ეთნიკურად არაკატალონიელები არიან. საერთოდაც, „ესპანიოლი“ თავის დროზე ბარსელონაში იქ ჩასულმა კასტილიელებმა დააარსეს. ბრიგადას ყველაზე დიდი მეგობრები მადრიდში ჰყავს, „რეალის“ ფაშისტმა მოიერიშეებმა „ბარსელონას“ სიძულვილით დაბრმავებულ იდეოლოგიურ მოკავშირეებს კარგად გაუგეს. „თეთრ-ცისფერები“ სადღეისოდ პრობლემებს განიცდიან, დაჯგუფება თვალს და ხელს შუა ეშლებათ და „ბარსას“ „ცოფიანებიც“ მუდმივად უტყაპუნებენ... კატალონიელების იერიშებით თავმობეზრებული კუნძული „ცოფიანებთან“ ჩხუბში აგერ, უკვე მეცხრე წელია, სამარცხვინოდ მარცხდება... „კამპ ნოუს“ ხალხმა კი დანდობა არ იცის, დამარცხებულს ყველანაირად გადაჯეგავენ ხოლმე. მაგალითად, როცა „ცოფიანებმა“ „თუთიყუშების“ ერთ-ერთი წევრი ცემით მოკლეს, დაჯგუფებამ საწყალი ფანის საზეიმოდ დაკრძალვა გადაწყვიტა. თეთრ-ცისფერი ლენტებით მორთული კუბო რიკარდო ზამორას პროსპექტზე გამოიტანეს და ის იყო სამგლოვიარო მსვლელობა უნდა მოეწყოთ, რომ უეცრად თავს „ბარსას“ ინჩასთა ჯგუფი დაატყდათ. გამხეცებულმა „ცოფიანებმა“ პროცესიის მონაწილეებს სცემეს, ხოლო კუბო გადააბრუნეს და ასე უპატრონოდ მიაგდეს „რიკარდო ზამორაზე“.

### ყველაზე დაკუნთულები

დაჯგუფების სახელი: **LIGALLO FONDO NORTE** („ჩრდილოეთის ფონდი“). კლუბი: „სარაგოსა“. რაოდენობა: 350 ინჩასი. იდეოლოგია: ფაშისტები. მეგობრები: **YOMUS** („ვალენსიას“ დაჯგუფება). **JUVENTUDES VERDIBLANCAS** („რასინგის“ დაჯგუფება), **GAUNAS SUR** („ლოგრონიესის“ დაჯგუფება), **ULTRA BOYS** (ხიხონის „სპორტინგის“ დაჯგუფება). მტრები: **BOIXOS NOIS** („ბარსას“ დაჯგუფება), **YNDAR GORRI** („ოსასუნას“ დაჯგუფება).

ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დაჯგუფებაა. „ჩრდილოეთის ფონდში“ მარტო „სარაგოსას“ სიყვარულით ვერ მოხვდები, აქ სპეციალური ფიზიკური მომზადებაა საჭირო. დაჯგუფების ხელმძღვანელობა ახალ წევრებს უმკაცრეს გამოცდას უწყობს. უპირატესობას აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების მცოდნეებს და მოკრივეებს ანიჭებენ. არაგონელთა ბრიგადამ რამდენიმე წლის წინ „რეალის“ ინჩადა მიტყიპა და ესპანელ ხულიგანთა რეიტინგში მესამე ადგილზე გადაინაცვლა (პირველი ორი „ბარსას“ და „ატლეტიკოს“ ეკუთვნის). „ფონდს“ დიდი კლუბები და მათი მხარდამჭერები არ უყვარს. არაგონელები გრანდებიდან მხოლოდ „ვალენსიას“ დაჯგუფება „იომუსთან“ მეგობრობენ.

**ლადო ხომერიკი**



# ქარიმის ცეცხლი შკიდია
## მათეუსს ალის ფასმა ხელი დასწვა

**გერმანული** მედიის ცნობით, ავსტრიულ „ზალცბურგს“ „ბაიერნიდან“ ალი ქარიმის ყიდვა უნდა. შეგახსენებთ, რომ „ზალცბურგის“ მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონია, ხოლო მისი თანაშემწე — ლოთარ მათეუსი. პირველი, „ბაიერნის“ ყოფილი მწვრთნელია, მეორე კი ყოფილი მოთამაშე და კლუბთან კარგი ურთიერთობა აქვთ. მათეუსი მიუნხენში ჩასულა და მაგათს ირანელი ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა. ამბობენ, მიუნხენური კლუბის დასახელებული ფასი ავსტრიელებს ეძვირათო, მაგრამ ვაჭრობა გრძელდება.

ირანელი ნახევარმცველი ალი ქარიმი „ბაიერნში“ 2005 წლის მაისში გადავიდა „ალ აჰლიდან“ და პირველ ბუნდესლიგურ სეზონში თავი გამოიჩინა კიდეც, მაგრამ გასულ გაზაფხულზე რამდენჯერმე დაშავდა, რამაც ძირითადი შემადგენლობისკენ გზა გადაუკეტა. „ბაიერნმა“ ამ ზაფხულს „ბარსელონადან“ მარკ ვან ბომელი იყიდა და საეჭვოა, რომ ირანელმა კვლავ მოიპოვოს ადგილი ძირითად თერთმეტეულში. ამიტომაც აპირებენ მიუნხენელები ქარიმის გაყიდვას.

„ბაიერნის“ კიდევ ერთი ლეგიონერი ვილი სანიოლი კი კონტრაქტის გაგრძელებას ორი წლით აპირებს. იგი 2000-ში „მონაკოდან“ გადავიდა ბავარიულ გრანდში და ამჟამინდელი ხელშეკრულებით 2010 წლამდე ეკუთვნის კლუბში დარჩენა. თუკი კონტრაქტს გააგრძელებს, ექვსი წლის შემდეგ ანუ 2012-ში უკვე 35-ის იქნება და კარიერასაც „ბაიერნში“ დაასრულებს.

„ათი სეზონი გავატარე აქ და ისე შევეჩვიე ბუნდესლიგას, რომ არა მგონია სადმე წავიდე. ამიტომაც ვფიქრობ ხელშეკრულების გახანგრძლივებას. გამორიცხული არაა, კარიერის დასრულების შემდეგ კლუბში სამუშაოდ დავრჩე, თუმც გული „სენტ ეტიენისკენ“ მიმიწევს, სადაც ფეხბურთის თამაში დავიწყე“ — განაცხადა სანიოლმა.

**გიორგი დარჯანია**

# ეგერტ ჩაქუჩსონი

**მთელი ამ** ჯურაბჩიანული ისტორიის შემდეგ, კლუბს თავისი 74 მილიონდოლარიანი ინვესტიცია შესთავაზა ისლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ეგერტ მაგნუსონმა.

ეს მაგნუსონი უეფას პასუხისმგებელი კომიტეტის წევრიცაა და „ტაიმსის“ ცნობით, სერიოზულად აპირებს „ვესტ ჰემის“ ყიდვას.

შარშან ასოციაციის თასის ფინალში გასულ „ვესტ ჰემს“ წლევანდელი პრემიერლიგის პირველი ტურის შემდეგ არ მოუგია და ვერც არგენტინელი ვარსკლავები, კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერონა შველიან.

**ირაკლი გამყრელიძე**


ეგერტ მაგნუსონი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | უიგანი-მანჩესტერი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 15:45 | 2 | უიგანი-მანჩესტერი 1:0 | 2.35 | 3.40 | 2.40 | | | |
| 18:00 | 3 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.40 | 3.60 | 1.21 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ვესტ ჰემი 0:1 | 3.20 | 3.50 | 1.80 | | | |
| 18:00 | 5 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 18:00 | 6 | სიტი-შეფილდი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ევერტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 18:00 | 8 | არსენალი-უოტფორდი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 18:00 | 10 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 20:15 | 11 | რედინგი-ჩელსი | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 20:15 | 12 | რედინგი-ჩელსი 1:0 | 2.60 | 3.50 | 2.05 | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 13 | ნიუკასლი-ბოლტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 14 | ფულემი-ჩარლტონი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 15 | საუთენდი-ქოვენთრი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 16 | ვულვერჰემპტონი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 18:00 | 17 | ბარნლი-ჰალი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 18 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-სტოკი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 21 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 22 | ლუტონი-ბირმინგემი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 23 | პრესტონი-სანდერლენდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 24 | ქპრ-ნორვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 25 | უენსდი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:15 | 26 | პლიმუთი-დერბი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 27 | ტრანმერი-პორტ ვეილი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 22:45 | 28 | ნორთჰემპტონი-ბრედფორდი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 29 | ოლდემი-ლეიტონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 18:00 | 30 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 31 | სკანთორპი-ბრაიტონი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 18:00 | 32 | ბლეკპული-იოვილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 33 | ბრისტოლი-ქრიუ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 34 | ჩელტენემი-დონკასტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 35 | ჩესტერფილდი-სუონსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 36 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 37 | ჰადერსფილდი-კარლაილი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 38 | მილუოლი-ბორნმუთი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 39 | ბარნეტი-ლინკოლნი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 40 | ბოსტონი-მენსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 41 | ჰარტლპული-სტოკპორტი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 42 | ჰერეფორდი-დარლინგტონი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 43 | მაკლსფილდი-ბერი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 44 | ნოტსი-როვერსი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 45 | პიტერბრო-შრიუსბერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 46 | როჩდეილი-ჩესტერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 47 | სუინდონი-გრიმსბი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 18:00 | 48 | ტორკი-ეკრინგტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 49 | უოლსოლი-უიკომბი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 50 | რექსემი-დონსი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 74 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 10.00 | 4.60 | 1.27 | 3.15 | 1.12 | 1.00 |
| 18:00 | 76 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 77 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 78 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 79 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 81 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 82 | ლივინგსტონი-ჰამილტონი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 83 | ერდრი-კლაიდი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 18:00 | 84 | ქუინი-პარტიკი | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 18:00 | 85 | როსი-დანდი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 18:00 | 86 | სტ.ჯონსტონი-გრეტნა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | ალოა-კოუდენბითი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 18:00 | 88 | ეარი-სტირლინგი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 89 | ბრეჩინი-პიტერჰედი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 18:00 | 90 | რეითი-მორტონი | 4.20 | 3.50 | 1.65 | 1.90 | 1.18 | 1.12 |
| 18:00 | 91 | სტრანრარი-ფორფარი | 1.50 | 3.70 | 5.20 | 1.06 | 1.16 | 2.16 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 92 | ალბიონი-ბერიკი | 2.70 | 3.30 | 2.20 | 1.48 | 1.21 | 1.32 |
| 18:00 | 93 | არბროთი-ქუინზ პარკი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 18:00 | 94 | დამბარტონი-მონტროუზი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 95 | ელგინი-ისტ სტირლინგი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 96 | სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 97 | მაინცი-ალემანია | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 98 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 17:30 | 99 | ჰამბურგი-შალკე | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 17:30 | 101 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 17:30 | 102 | ბაიერნი-ჰერტა | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 17:30 | 103 | ბოხუმი-ვერდერი | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 17:30 | 104 | ბოხუმი-ვერდერი 1:0 | 1.90 | 3.40 | 3.00 | | | |
| 17:30 | 536 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 105 | კოტბუსი -დორტმუნდი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 19:00 | 106 | ნიურნბერგი-არმინია | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 19:00 | 107 | ნიურნბერგი-არმინია 0:1 | 3.00 | 3.40 | 1.95 | | | |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 108 | აუგსბურგი-ფიურტი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 20:00 | 109 | ბრაუნშვაიგი-მიუნხენი 1860 | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 20:00 | 110 | დუისბურგი-ფრაიბურგი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 111 | კაიზერსლაუტერნი-აუე | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 16:00 | 112 | ბურგჰაუზენი-ჰანზა | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 16:00 | 113 | კარლ ცაისი-უნტერჰახინგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 16:00 | 114 | ოფენბახი-ესენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 115 | პადერბორნი-კობლენცი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 116 | კიოლნი-კარლსრუე | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 135 | აუსტრია-პაშინგი | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 20:30 | 137 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 20:30 | 138 | ზალცბურგი-ალტახი | 1.25 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.14 |
| 20:30 | 140 | ტიროლი-რიდი | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 139 | შტურმი-რაპიდი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 141 | პარტბერგი-ლეობენი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 142 | კაფენბერგი-გრატკორნი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 21:00 | 143 | კერნტენი-ლინცერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 21:00 | 144 | ლუსტენაუ-ადმირა | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 21:00 | 145 | პარნდორფი-აუსტრია(ლ) | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 21:00 | 146 | შვანენშტადტი-აუსტრია(მ) | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:45 | 147 | აარაუ-ციურიხი | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 19:45 | 148 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:45 | 149 | ლუცერნი-სიონი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 150 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 4.40 | 3.40 | 1.70 | 1.91 | 1.22 | 1.13 |
| 18:00 | 151 | იანგ ბოიზი-თუნი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 173 | სამპდორია-მილანი | 4.70 | 3.20 | 1.75 | 1.90 | 1.27 | 1.13 |
| 22:30 | 174 | სიენა-მესინა | 2.05 | 2.90 | 4.00 | 1.20 | 1.35 | 1.68 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 161 | ასკოლი-ლივორნო | 2.45 | 2.80 | 3.10 | 1.30 | 1.36 | 1.47 |
| 17:00 | 162 | ემპოლი-ფიორენტინა | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 17:00 | 164 | ინტერი-კატანია | 1.20 | 5.30 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.84 |
| 22:30 | 166 | ლაციო-კალიარი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 17:00 | 167 | პალერმო-ატალანტა | 1.50 | 3.40 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.30 |
| 17:00 | 168 | პალერმო-ატალანტა 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.30 | | | |
| 17:00 | 169 | პარმა-უდინეზე | 2.85 | 3.00 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 17:00 | 171. | რეჯინა-რომა | 4.70 | 3.20 | 1.75 | 1.90 | 1.27 | 1.13 |
| 17:00 | 172 | რეჯინა-რომა 1:0 | 1.95 | 3.40 | 3.00 | | | |
| 17:00 | 175 | ტორინო-კიევო | 2.35 | 2.90 | 3.20 | 1.29 | 1.35 | 1.52 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 186 | ვიჩენცა-ნაპოლი | 3.30 | 2.70 | 2.25 | 1.48 | 1.33 | 1.22 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 176 | არეცო-ტრიესტინა | 2.15 | 2.70 | 3.60 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| 18:00 | 177 | ბოლონია-მოდენა | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 18:00 | 178 | ბრეშა-ჯენოა | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 18:00 | 179 | ჩეზენა-ბარი | 2.00 | 2.70 | 4.10 | 1.14 | 1.34 | 1.62 |
| 18:00 | 180 | კროტონე-ალბინოლეფე | 2.05 | 2.80 | 3.70 | 1.18 | 1.31 | 1.59 |
| 18:00 | 181 | ლეჩე-რიმინი | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 18:00 | 182 | პესკარა-ფროზინონე | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 18:00 | 183 | პიაჩენცა-ვერონა | 1.75 | 2.80 | 5.20 | 1.07 | 1.30 | 1.82 |
| 18:00 | 184 | სპეცია-მანტოვა | 2.60 | 2.70 | 2.70 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 185 | ტრევიზო-იუვენტუსი | 10.00 | 4.70 | 1.25 | 3.19 | 1.11 | 1.00 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 206 | ატლეტიკო-უელვა | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 22:00 | 211 | ხეტაფე-რეალი | 4.60 | 3.30 | 1.75 | 1.92 | 1.26 | 1.14 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 207 | ბარსელონა-სევილია | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:00 | 208 | ბეტისი-დეპორტივო | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 19:00 | 209 | სელტა-ვალენსია | 3.90 | 3.10 | 1.95 | 1.72 | 1.29 | 1.19 |
| 19:00 | 212 | ტარაგონა-ბილბაო | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 213 | ლევანტე-მალიორკა | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 214 | ოსასუნა-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.80 | 1.14 | 1.28 | 1.95 |
| 19:00 | 215 | სოსიედადი-სარაგოსა | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 217 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 220 | კასტელონი-ჰერკულესი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 20:30 | 223 | მალაგა -ეხიდო | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 20:30 | 226 | რეალი(ბ)-სიუდადი | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 20:30 | 228 | ვეცინდარიო-ლას პალმასი | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 218 | ალმერია-ალბასეტე | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 14:00 | 219 | კადისი-ალავესი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 19:30 | 221 | ელჩე-სერესი | 3.20 | 2.90 | 2.20 | 1.52 | 1.30 | 1.25 |
| 20:00 | 222 | ლორკა-სალამანკა | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 21:00 | 224 | მურსია-ნუმანსია | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:00 | 225 | პონფერადინა-ვალიადოლიდი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 21:00 | 227 | ტენერიფე-სპორტინგი | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 521 | ლიონი-სტ.ეტიენი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| 22:00 | 522 | ნანტი-სოშო | 2.05 | 2.90 | 3.90 | 1.20 | 1.34 | 1.66 |
| 22:00 | 523 | ნიცა-ლორიანი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 524 | პსჟ-სედანი | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| 22:00 | 525 | რენი-ოსერი | 2.35 | 2.90 | 3.20 | 1.29 | 1.35 | 1.52 |
| 22:00 | 526 | ტულუზი-ვალენსიენი | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| 22:00 | 527 | ტრუა-ლილი | 2.95 | 2.90 | 2.45 | 1.46 | 1.33 | 1.32 |
| 22:00 | 528 | ბორდო-მონაკო | 1.90 | 3.00 | 4.30 | 1.16 | 1.31 | 1.76 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 529 | ლე მანი-ნანსი | 2.20 | 2.90 | 3.45 | 1.25 | 1.34 | 1.57 |
| 23:00 | 530 | ლანსი-მარსელი | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 229 | ბასტია-შატორუ | 2.05 | 2.90 | 3.40 | 1.20 | 1.27 | 1.56 |
| 22:00 | 230 | ბრესტი-ამიენი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 231 | დიჟონი-ნიორი | 1.85 | 2.90 | 4.20 | 1.12 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 232 | გენიონი-აიაჩო | 2.40 | 2.70 | 2.90 | 1.27 | 1.31 | 1.39 |
| 22:00 | 233 | ისტრი-ლე ავრი | 2.60 | 2.80 | 2.65 | 1.34 | 1.31 | 1.36 |
| 22:00 | 234 | ლიბურნი-გენგამი | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 235 | მეცი-კრეტეი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 22:00 | 236 | რეიმსი-ტუარი | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| 22:30 | 237 | სტრასბური-გრენობლი | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 238 | კაენი-მონპელიე | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 239 | ვარეგემი-ანდერლეხტი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 22:00 | 241 | ლიერსი-ბევერენი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:00 | 242 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:00 | 243 | მუსკრონი-ვესტერლო | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:00 | 244 | სტანდარდი-რუზელარე | 1.40 | 4.00 | 6.60 | 1.03 | 1.15 | 2.49 |
| 22:00 | 245 | სერკლი-გენტი | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 22:00 | 246 | შარლერუა-სტ.ტრუიდენი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 247 | ბრიუსელი-ბრიუგე | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 22:30 | 248 | გენკი-მონსი | 1.40 | 4.00 | 6.60 | 1.03 | 1.15 | 2.49 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 259 | დენ ჰააგი-ტვენტე | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 260 | ბრედა-ნაიმეგენი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:00 | 261 | სპარტა-ალკმაარი | 6.60 | 3.80 | 1.45 | 2.41 | 1.18 | 1.04 |
| 22:00 | 263 | ვიტესი-ტილბურგი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 21:30 | 264 | აიაქსი-გრონინგენი | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 265 | ექსელსიორი-უტრეხტი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 16:30 | 266 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 16:30 | 267 | პსვ-როდა | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 16:30 | 268 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3.80 | 3.30 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 279 | ამადორა-სპორტინგი | 5.20 | 3.40 | 1.60 | 2.05 | 1.22 | 1.08 |
| 19:00 | 281 | ავეში-სეტუბალი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 282 | ბეირა მარი-ბრაგა | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 283 | ბოავიშტა-ნავალი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 284 | ფერეირა-აკადემიკა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 19:00 | 285 | ლეირია-ბენფიკა | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 286 | ნასიონალი-ბელენენსეში | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 287 | პორტუ-მარიტიმუ | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 301 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ | 1.22 | 4.90 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.47 |
| 16:00 | 303 | გაზიანთეფი-საკარია | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 16:00 | 305 | კონია-ბურსა | 2.05 | 3.10 | 3.45 | 1.23 | 1.28 | 1.63 |
| 15:30 | 306 | ტრაბზონი-ერჯიესი | 1.40 | 4.10 | 6.80 | 1.04 | 1.16 | 2.55 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 297 | ანკარა-ფენერბაჰჩე | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 21:30 | 298 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 16:00 | 300 | დენიზლი-რიზე | 2.00 | 3.30 | 3.45 | 1.24 | 1.26 | 1.68 |
| 16:00 | 304 | კაისერი-სივასპორი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 16:00 | 307 | მანისა-ანტალია | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 319 | ლეხი-ლოძი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 316 | არკა-გროცლინი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 22:30 | 317 | გურნიკი-ბელჩატოვი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 20:15 | 318 | კორონა-ზაგლებე | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 20:00 | 320 | ლეჩნა-ვიძევი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 20:00 | 322 | ვისლა-ოდრა | 1.25 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.89 |
| 20:00 | 323 | პლოცკი-კრაკოვია | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 321 | პოგონი-ლეგია | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 325 | ზლინი-ტეპლიცე | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 19:00 | 327 | პლზენი-ბრნო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 324 | სპარტა-ბანიკი | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 17:00 | 328 | კლადნო-სლავია | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 19:00 | 329 | ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 330 | მოსტი-სლოვაცკო | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 331 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 326 | იაბლონეცი-სიგმა | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 344 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 6.00 | 3.80 | 1.50 | 2.32 | 1.20 | 1.07 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 346 | ვიბორგი-ვეილე | 1.80 | 3.40 | 4.10 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 17:00 | 347 | ესბიერგი-ოლბორგი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 17:00 | 348 | ნორდსიელანდი-სილკებორგი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 17:00 | 349 | ოდენსე-ჰორსენსი | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 20:00 | 350 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 352 | ორჰუსი-კოლდინგი | 3.20 | 3.50 | 1.95 | 1.67 | 1.21 | 1.25 |
| 17:00 | 353 | ბრაბრანდი-ტისტედი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 354 | ფრემადი-ლიუნგბიუ | 4.00 | 3.70 | 1.70 | 1.92 | 1.19 | 1.16 |
| 17:00 | 355 | აკადემისკი-ჰელერუპი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 17:00 | 356 | ფრედერისია-კიოგე | 2.15 | 3.50 | 2.75 | 1.33 | 1.20 | 1.53 |
| 17:00 | 358 | ნესტვედი-ფრემი | 2.30 | 3.50 | 2.55 | 1.38 | 1.20 | 1.47 |
| 17:00 | 359 | სიონდერიისკე-იოლსტიკე | 1.30 | 4.70 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 3.02 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 360 | მოლდე-ვოლერენგა | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 361 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 362 | სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 363 | სტაბეკი-სტარტი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 364 | ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:00 | 365 | ლინი-ბრანი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 366 | ჰამარი-რუსენბორგი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 376 | აიკ-ჰელსინგბორგი | 2.40 | 3.30 | 2.70 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 377 | გეფლე-იორგრიტე | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 17:00 | 378 | იოსტერსი-ჰეკენი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 379 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| 21:00 | 380 | კალმარი-ელფსბორგი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 21:00 | 381 | მალმიო-გაის | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 383 | სუნდსვალი-ვესბი | 1.70 | 3.50 | 4.65 | 1.14 | 1.24 | 1.99 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 392 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 17:00 | 393 | კტპ-ტამპერე | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| 19:30 | 394 | ჰიკ-იარო | 1.25 | 4.60 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.09 |
| 19:30 | 395 | ლაჰტი-ჰონკა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:30 | 396 | ვპს-კუოპიო | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 397 | ინტერი-ჰაკა | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 681 | სლავია-პლზენი | 1.65 | 4.20 | 3.10 | 1.18 | 1.07 | 1.78 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 682 | ვსეტინი-პარდუბიცე | 2.65 | 4.10 | 1.85 | 1.60 | 1.08 | 1.27 |
| 19:00 | 683 | ვიტკოვიცე-ზლინი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 19:30 | 684 | ბუდეიოვიცე-ტრჟინეცი | 1.80 | 4.20 | 2.65 | 1.25 | 1.07 | 1.62 |
| 19:30 | 685 | ზნოიმო-სპარტა | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 19:30 | 686 | ლიტვინოვი-კლადნო | 1.75 | 4.20 | 2.80 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 20:00 | 687 | კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 2.10 | 4.10 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 700 | პოპრადი-კოშიცე | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 19:00 | 701 | მიკულაში-ნიტრა | 2.10 | 4.10 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| 19:30 | 702 | ჟილინა-მარტინი | 1.80 | 4.20 | 2.65 | 1.25 | 1.07 | 1.62 |
| 20:00 | 704 | სლოვანი-სკალიცა | 1.20 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.47 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 711 | კიოლნი-დიუსელდორფი | 1.95 | 4.30 | 2.30 | 1.34 | 1.05 | 1.49 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 712 | იზერლონი-ჰანოვერი | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |
| 21:30 | 713 | აისბარენი-აუგსბურგი | 1.55 | 4.30 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.92 |
| 21:30 | 714 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.40 | 4.30 | 4.50 | 1.05 | 1.06 | 2.19 |
| 21:30 | 715 | ინგოლშტადი-კრეფელდი | 1.50 | 4.20 | 3.80 | 1.10 | 1.07 | 1.99 |
| 21:30 | 716 | ფრანკფურტი-სტრაუბინგი | 1.50 | 4.30 | 3.70 | 1.11 | 1.06 | 1.98 |
| 21:30 | 717 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1.90 | 4.10 | 2.55 | 1.29 | 1.08 | 1.57 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 726 | ამბრი-დავოსი | 2.15 | 4.10 | 2.20 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 21:45 | 727 | ბერნი-ბაზელი | 1.30 | 4.50 | 4.60 | 1.00 | 1.01 | 2.27 |
| 21:45 | 728 | ლუგანო-კლოტენი | 1.70 | 4.30 | 2.75 | 1.21 | 1.05 | 1.67 |
| 21:45 | 729 | რაპერსვილი-ლანგნაუ | 1.50 | 4.40 | 3.70 | 1.11 | 1.06 | 2.00 |
| 21:45 | 730 | ცუგი-ფრიბურგი | 1.80 | 4.20 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.60 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 745 | ხიმიკი-მვდ | 1.50 | 4.30 | 3.00 | 1.11 | 1.00 | 1.76 |
| 14:00 | 746 | ლადა-ცსკა | 1.95 | 4.20 | 2.25 | 1.33 | 1.04 | 1.46 |
| 14:00 | 748 | ლოკომოტივი-სევერსტალი | 1.45 | 4.50 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 1.90 |
| 14:00 | 749 | ს.იულაევი-ვიტიაზი | 1.50 | 4.40 | 3.10 | 1.11 | 1.01 | 1.81 |
| 14:00 | 750 | ავანგარდი-დინამო | 1.50 | 4.40 | 3.10 | 1.11 | 1.01 | 1.81 |
| 12:00 | 751 | ამური-სიბირი | 2.70 | 4.30 | 1.65 | 1.65 | 1.02 | 1.19 |
| 14:00 | 752 | კრილია-ნოვოკუზნეცკი | 2.20 | 4.10 | 2.05 | 1.43 | 1.06 | 1.36 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:30 | 815 | ალიკანტე-სან ფერნანდო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 21:00 | 816 | ბარსელონა-ვალენსია | 1.35 | 12.00 | 2.40 | 1.21 | 1.00 | 2.00 |
| 22:45 | 817 | ხუვენტუდი-ესტუდიანტესი | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| 14:15 | 818 | რეალი-მენორკა | 1.05 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 518 | ბოკა ხუნიორსი-ნასიონალი | მ1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანი მერლო წავიდა და დაბრუნდება

## აიპსის პრეზიდენტი თბილისში მასპინძლობას აპირებს



ელგუჯა ბერიშვილი, ჯანი მერლო, ჟურნალისტი დავით კაკაბაძე და ბადრი პატარკაციშვილი

**იტალიის** ფეხბურთელთა ნაკრებს თბილისში ბლომად ჟურნალისტები ჩამოჰყვნენ, მათგან დამოუკიდებლად კი ერთი ჩვენი კოლეგა ჩამოფრინდა. უფრო სწორად, ის კოლეგა შარშანდლიდან ჩვენი ამქრის მეთაურია — სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის (აიპს) პრეზიდენტი ჯანი მერლო.

— ჯანი მერლო კარგა ხანია თბილისში ჩამოსვლას აპირებდა, ბოლოს კი ერთად გადავწყვიტეთ, რომ მისი ვიზიტი მის თანამემამულე ფეხბურთელთა ჩამოსვლას დამთხვეოდა და ასეც მოხდა — გვითხრა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ვისი მოწვევითაც ჩამოვიდა ჯანი მერლო, სტუმარს კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც მასპინძლობს.

მერლომ თბილისში სპორტული ბაზებიც დაათვალიერა, საქართველოს სპორტის მუზეუმსაც გაეცნო და საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილსაც შეხვდა, გუშინ კი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს მისსავე რეზიდენციაში ეწვია.

მასპინძელმა ჯანი მერლო სეოკის ორდენით დააჯილდოვა, რითაც ძალზე ასიამოვნა...

მართალია, ჯანი მერლოს, როგორც სპორტული ჟურნალისტის ძირითადი თემები მძლეოსნობა და ზამთრის სახეობებია, მაგრამ გუშინ ბადრი პატარკაციშვილთან აგიზგიზებული ბუხრის პირას საქართველო-იტალიის ფეხბურთელთა შეხვედრაზეც საკმაოდ ისაუბრეს, ზოგადად სპორტისა და სპორტული ჟურნალისტიკის საკითხებზეც, მაგრამ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გამო გვერდი ვერც საქართველო-რუსეთის გართულებულ მდგომარეობას აუარეს.

— ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპის ნაწილი ვხდებით — თქვა სეოკის პრეზიდენტმა — მაგრამ ამ გზაზე პრობლემებს ვაწყდებით. აი, რუსეთის თხოვნით თბილისში დანიშნული ევროპის ძიუდოისტთა საკლუბო პირველობა ნეიტრალურ ბუდაპეშტში გადაიტანეს, ჩვენს სამბისტებს კი მოსკოვში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასასვლელად რუსეთის ვიზები არ მისცეს. დღეს შეგვატყობინეს, რომ სამბისტებს ვიზების პრობლემა აღარ ექნებათო, მაგრამ რაღა დროს... თანაც სპორტსმენს შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის განწყობაც ხომ უნდა ჰქონდეს. ასეთ პირობებში რომელ განწყობაზე შეიძლება საუბარი. ეს ყველაფერი ხელს უშლის სპორტის განვითარებას. მგონია, რომ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციას სერიოზული რესურსები გააჩნია, რათა გავლენა მოახდინოს ამგვარ ფაქტებზე. მგონია, რომ ოლიმპიური თამაშები იმისთვისაც მოიგონეს, რომ ომები აგვარიდოს. ყოველ შემთხვევაში, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ოლიმპიური თამაშებისას მოსისხლე მტრებიც კი ზავს აგდებენ. ამიტომაც ჩემი მოწოდებული თხოვნა იქნებოდა, რომ თქვენ, როგორც გამოცდილმა ჟურნალისტმა და ავტორიტეტული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შეფასება მისცეთ რუსეთის ზოგიერთი სტრუქტურის მოქმედებას, რათა მსგავსი რამ მსოფლიოში აღარსად განმეორდეს.

სტუმარმა მასპინძელს კვერი დაუკრა.

— ვგმობ იმ ვითარებას, რომელმაც თქვენი სპორტსმენები თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა — ბრძანა ჯანი მერლომ — ყველა სპორტსმენს უნდა ჰქონდეს უფლება, ამა თუ იმ ქვეყნის საზღვარი გადალახოს. ის, ვინც სპორტს პოლიტიკურ იარაღად იყენებს, მარცხისთვის განწირულია. შეგახსენებთ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ბოიკოტებს, რამაც მსოფლიოს ეს უდიდესი შეჯიბრება უფრო გააძლიერა. სპორტი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ მომავალს კარი გავუღოთ და არა მივუხუროთ...

ჯანი მერლომ იგივე გაიმეორა გუშინვე გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელშიც სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. აქ საუბარი იყო ბორჯომ-ბაკურიანის ამბიციებზე, ზიდან-მატერაცის სკანდალზე, დოპინგსა და ბევრ სხვაზეც, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი ელგუჯა ბერიშვილის ნათქვამი იყო, დღეს ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან იდეის დონეზე საუბარი იყო, რომ 2009 წელს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონგრესს თბილისში ვუმასპინძლოთ.

ამასთან დაკავშირებით ჯანი მერლომ თქვა, იმან, რაც აქ ვნახე და მოვისმინე, იმ სითბომ, რომელიც აქ ვიგრძენი, მაფიქრებინა, რატომაც არა, გაისად თბილისში ჩვენი ორგანიზაციის აღმასკომის სხდომის გამართვაც შეიძლება-მეთქი.

ასე რომ, ჯანი მერლო, რომელმაც თბილისში თავისი ვიზიტი პირადი პრობლემების გამო ნაადრევად შეწყვიტა და თანამემამულე ფეხბურთელებთან ერთად წუხელ გაფრინდა, გაისადაც საქმიანი ვიზიტით გვეწვევა.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**



ბადრი პატარკაციშვილმა ჯანი მერლოს სეოკ-ის ორდენი გადასცა

❀ რაგბი ❀

# ერთა თასი მსოფლიოს თასამდე



საგაისო ერთა თასი რუმინეთ — საქართველოს ჯახით გაიხსნება

**საგაისო** მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩის რუმინეთთან 8:20 წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრები 21 ოქტომბრამდე უქმობს, ამ დღეს კი ჯგუფური ეტაპის მეორე მეტოქეს, სუსტ ესპანეთს მასპინძლობს.

თქმა არ უნდა, ჩვენებს ესპანელების მინგრევა არ უნდა გაუჭირდეთ. ამის შემდეგ კი ქართველები ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებენ და ერთათასელების — პორტუგალიისა და რუსეთის ლისაბონური მატჩის შედეგს დაელოდებიან. ჩვენები პორტუგალია — რუსეთს შორის უკეთესს შინ და გარეთ ეთამაშებიან და აქ გამარჯვებული მსოფლიოს თასზე გადის. თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, მერე უკვე რეპეშაჟია და აფრიკულ ნაკრებთან რკენა არასახარბიელო უნდა იყოს.

მანამდე კი დროა და ესპანეთთან საოქტომბრო მატჩამდე ევროპის რაგბის ფედერაციამ საგაისო ერთა თასის კალენდარი დაადგინა. კალენდარი აშკარად არაა საჩვენო რაკი სუსხიან თებერვალში ქართველები პირველივე ტურში სტუმრად ეთამაშებიან ერთა თასის მთავარ ფავორიტ რუმინეთს, მეორე ტურში მასპინძლობენ ძალიან მოყოჩაღებულ პორტუგალიას და მარტში, ექვსდღიანი ინტერვალით ორი გასვლითი მატჩი აქვთ — ჯერ ესპანეთში, მერე კი რუსეთში.

გაისად ერთა თასზე ითამაშებს ესპანეთიც, ვინც ტურნირიდან შარშანწინ გავარდა ახლა კი ქვედა ადგილი მაჩანჩალა უკრაინას გაუცვალა.

**გაჩო სვანიძე**

ერთა თასი 2007

3 თებერვალი

რუმინეთი — საქართველო

პორტუგალია — ესპანეთი

10 თებერვალი

პორტუგალია — რუმინეთი

11 თებერვალი

ესპანეთი — რუსეთი

24 თებერვალი

რუმინეთი — რუსეთი

10 მარტი

საქართველო — პორტუგალია

რუმინეთი — ესპანეთი

11 მარტი

ჩეხეთი — რუმინეთი

18 მარტი

ესპანეთი — საქართველო

24 მარტი

რუსეთი — საქართველო

7 აპრილი

საქართველო — ჩეხეთი

21 აპრილი

რუსეთი — ჩეხეთი

5 მაისი

ჩეხეთი — ესპანეთი

12 მაისი

პორტუგალია — რუსეთი

19 მაისი

ჩეხეთი — პორტუგალია

# ცინცაძის როკი გრძელდება
## ათიანი მარკოიშვილი



მანუჩარ მარკოიშვილი „ოლიმპიაში" ყოჩაღობს

**გიორგი ცინცაძე** აღარ ხუმრობს. აგერ, უკვე მეორე მატჩია, ტარტუს „როკის" ბომბარდირი ხდება და თუ წინა შეხვედრაში მთავარმექულეეობა მარცხის გამო სათანადოდ ვერ დაუფასდა, ამჯერად მისმა მოწადინებამ ნაყოფი გამოიღო — „როკმა" ბალტიის ლიგის მეორე ტურში „პანევეჟისი" დაამარცხა.

ტარტუელები პირველ ტურში „ვენტსპილსთან" დამარცხდნენ და გამარჯვებაც გაორმაგებულად სწყუროდათ. ამაში მათ გიორგი ცინცაძე დაეხმარა, რომელმაც კვლავ ყველაზე მეტი ითამაშა თავისიანთაგან და 18 ქულით ბომბარდირიც გახდა.

საერთოდ, ცინცაძე ყველაზე მეტს თამაშობს „როკში". ამ ახალგაზრდა გამთამაშებელმა როგორც იქნა, იპოვა სასურველი გუნდი — სადაც მას ენდობიან და ბევრს ათამაშებენ. გიორგი ყოველთვის ამბობდა, მიჯობს, შედარებით სუსტ გუნდში ვიყო, მაგრამ თამაშის მეტი შესაძლებლობა მქონდესო. ამის გამო იყო, სუპერგრანდ ცსკა-დან სამარის ვე-ვე-ეს-ში რომ გადავიდა, მაგრამ...

და აი, ცინცაძეს თამაშის პრობლემა აღარ აქვს. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო — მასზეა ზედგამოჭრილი. ორმაგად სასიამოვნო კი ისაა, რომ ცინცაძე გაცემულ ავანებს ამართლებს და ნებისმიერ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ცინცაძემ ბარე ათზე მეტი მატჩი ითამაშა „როკში" და მოედანი ათ ქულაზე ნაკლებით არ დაუტოვებია. თამაშიდან თამაშამდე უფრო მეტ ნდობას იმსახურებს და ხუთეულშიც, რომ იტყვიან, ადგილი პრივატიზებული აქვს.

„პანევეჟისთან" გიორგიმ 18 ქულასთან ერთად 4 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. ანუ ის ყველა ფრონტზე გამორჩეული იყო და ტარტუელთა გამარჯვებაც უპირველესად მისი დამსახურებაა.

ცინცაძის ამბავი ხომ კარგი და, მანუჩარ მარკოიშვილი რომ გამორჩეულად თამაშობს, ეს კიდევ უკეთესი. „მანომ" ტრადიცია არ დაარღვია და ამჯერადაც შეასრულა პროგრამა-მინიმუმი — 10 ქულა. აქამდე ჩატარებუშლ სამ თამაშში მარკოიშვილი ერთხელაც არ ჩამოსცდენია ხსენებულ ნიშნულს და ეს ჩვეულება არც ამჯერად დაარღვია.

აღსანიშნავია, რომ „მანომ" ისე შეაგროვა ეს 10 ქულა, რომ ბურთი არ აუცილებია — 2-2 სამიანი და ორქულიანი ჩააგდო. საინტერესო ისაა, რომ მარკოიშვილმა მხოლოდ 17 წუთი ითამაშა, თუმც თავისიანებს ხელი გვარიანად შეაშველა მაკედონიური „შიროკის" დამარცხებაში.

ადრიატიკის ლიგაში „ოლიმპია" ლიდერთა შორისაა — 4-დან მე-3 გამარჯვება მოიპოვა და მესამემეექვსე ადგილებს იყოფს ლიგის სხვა ყოჩაღ გუნდებთან ერთად.

**ირაკლი პერტაია**

# აივერსონი და რუსული არმია

**ცსკა 90:81 მაკაბი**
*21:17 28:16 18:25 23:23*

**ცსკა:** სმოდიში (24), ანდერსენი (19), ლენგდონი (17)
**მაკაბი:** ელიაჰუ (21), ბაინამი (18), გალპერინი (12)

**ფილადელფია 103:100 ფინიქსი**
*28:34 24:27 23:28 28:11*

**ფილადელფია:** აივერსონი (29), კორვერი (20), ვებერი (17)
**ფინიქსი:** მერიონი (25), ბარბოსა (20), ნეში (15 ქულა, 9 პასი)

გერმანიის ქალაქ კიოლნში ნბა-ს გუნდების ევროპული ტურნეს ფარგლებში მინი-ტურნირი დაიწყო, რომელშიც ორი ამერიკული და ორი ევროპული გუნდი მონაწილეობს.

გუშინდელი ნახევარფინალების მერე გაირკვა, რომ ტურნირის მოგებისთვის ერთმანეთს მოსკოვის ცსკა და „ფილადელფია სიქსერსი" დაეტაკებიან.

მოსკოველებმა შარშანდელი ევროლიგის ფინალის გადამღერებაში თელ ავივის „მაკაბი" საკმაოდ იოლად დასცეს. რუსებმა საქმე პირველივე ნახევარში მოათავეს, როცა შესვენებაზე თექვსმეტქულიანი უპირატესობით გავიდნენ. ცსკა-მ მეტოქე ძირითადად სამწამიანში მძლავრი თამაშის წყალობით დაამარცხა. ამიტომაც ყველაზე შედეგიანები რუსების სლოვენიელი მძიმე ფორვარდი მატიას სმოდიში და ავსტრალიელი ცენტრი დევიდ ანდერსენი იყვნენ.

ამერიკულ ჯახში „ფილადელფიამ" საკმაოდ მოულოდნელად დაჯაბნა „ფინიქსი". არადა, ლამის მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ არიზონელები იყვნენ, მესამე მეოთხედში კი სულაც 22 ქულას იგებდნენ, მაგრამ „სიქსერსმა" თავისი სუპერვარსკვლავის ალენ აივერსონის თავგამოდების წყალობით ეს ჩამორჩენაც აღმოფხვრა. აივერსონს კაილ კორვერმა და კრის ვებერმაც კარგად აუბეს მხარი — ამ ტრიომ ბოლო მეოთხედში ნამდვილი სასწაული ჩაიდინა და ცსკა-სთან რანდევუც გაინაღდა.



სტივ ნეშის „ფინიქსი"
„ფილადელფიას" ვერ გაცდა

**კახა ლომაყმშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# იპონი ტატამზე გასვლამდე
## ქართველი ძიუდოისტები ამერიკაში არ შეუშვეს

**ძიუდოისტთა** ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის თბილისიდან ბუდაპეშტში გადატანას გუშინ ძიუდოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი უსიამოვნო მოვლენა დაემატა. მსოფლიოს ჩემპიონატზე დომინიკის რესპუბლიკაში მიმავალი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გერმანიიდან უკან გამობრუნდა. თბილისი-მიუნხენი-ფრანკფურტი-მაიამი-სანტო დომინგოს დამღლელი გზა მოულოდნელად ფრანკფურტში დასრულდა. ქართულ დელეგაციას ამერიკის ვიზები არ აღმოაჩნდა და გერმანელმა მესაზღვრეებმაც თვითმფრინავს მიღმა დატოვეს.

„დამნაშავე დომინიკის რესპუბლიკის ძიუდოს ფედერაციაა — გვითხრა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა შენგელი ფიცხელაურმა — ტურნირის ორგანიზატორები დაგვპირდნენ, რომ სანტო დომინგომდე ჩასვლისა და უკან დაბრუნების პრობლემას მოაგვარებდნენ. სერთიფიკატიც გამოგვიგზავნეს, მაგრამ მან ვიზის მაგივრობა ვერ გასწია. ჩვენმა ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. სამწუხაროდ, ამ პრობლემის წინაშე მაინც უძლურები აღმოვჩნდით. ახლა ისღა დაგვრჩენია, მომხდარი ძიუდოს მაღალ ინსტანციებში გავასაჩივროთ და დომინიკური ფედერაციისგან მორალურ-მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოვითხოვოთ.

ფედერაციის მაღალჩინოსნის ოფიციალური ვერსია ცნობილია, დომინიკელთა ცრუდაპირებაც გასაგები, მაგრამ მაინც უცნაურია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზის გარეშე მოხვედრის იმედი საიდან გაჩნდა. ან ის ზემოთ ხსენებული სერთიფიკატი რა იყო ისეთი, ლამის ათკაციანი გუნდის სავიზო პრობლემა რომ უნდა გადაეწონა; ან კიდევ, თუ მაიამამდე ჩასვლის შანსი არ არსებობდა, ამის თაობაზე თბილისის აეროპორტშივე რატომ არ გააფრთხილეს ქართველი ძიუდოისტები. სამწუხაროდ, უკვე ჩავლილი ამბავია. ხვალ დასაწყებ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველი სპორტსმენების სხვა გზით მოხვედრაც ველარ მოესწრება. არადა, სულ ახლახან საქართველოს ძალოსანთა ნაკრები იმავ სანტო დომინგოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ევროპული გადაჯდომებით ჩაფრინდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

9 ოქტომბერი

**კოლუმბუსი 5:1 ფინიქსი**
*1:1 2:0 2:0*

**ტამპა 0:1 ატლანტა**
*0:1 0:0 0:0*

**ანაჰაიმი 2:0 სენტ ლუისი**
*1:0 0:0 1:0*

**ტორონტო 2:1 ფლორიდა**
*0:0 0:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

**კალგარი 1:4 სან ხოსე**
*0:1 0:2 1:1*

10 ოქტომბერი

**რეინჯერსი 2:4 ფილადელფია**
*1:1 1:3 0:0*

**ლოსანჯელესი 4:2 აილენდერსი**
*2:2 1:0 1:0*

**მინესოტა 2:1 ვანკუვერი**
*0:0 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*



მაკა ჩახნაშვილი

# მაკა და ფრანგები

ფრანგულ ჟუ ლეს ტურში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასიან ტურნირს, წარმატებით აილო სტარტი საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა, რომელმაც პირველ წრეში 21 წლისა და კლასიფიკაციაში 241-ე ადგილზე მყოფი ფრანგი ფლორინ ჰ არინგი 6:4 7:5 დაამარცხა.

მეორე წრეში მაკას, სავარაუდოდ, გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება რეიტინგის პირველი ასეულის წევრის, ასევე ფრანგის ვირჟინი რაზანოს სახით, ვისაც წესით, არ უნდა გასჭირვებოდა ჩეხი სანდრა ზაჰლავოვას დამარცხება.

ჩახნაშვილისგან განსხვავებით, ამერიკული სან ფრანსისკოს კორტებზე უკვე დაასრულა ასპარეზობა 16 წლის ანა ტატიშვილმა, ვინც ასევე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ცდილობდა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ანას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა და პირვლ ნომრად მიჩნეულმა პირველ წრეში იოლად — 6:1 6:3 კი მოუგო კლასიფიკაციის 612-ე ნომერს, 22 წლის ამერიკელ ჯორჯეტა რაიტს, მაგრამ შემდეგ სამ სეტში 6:0 4:6 3:6 დამარცხდა კიდევ ერთ მასპინძელთან, 17 წლისა და რეიტინგში 549-ე პოზიციაზე მყოფ ალექსა გლატხთან და შეჯიბრს ნაადრევად დაემშვიდობა.

**კაცები**
მოსკოვი. რუსეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 000 000 $

**პირველი წრე**

მაქს მირნი (ბელარუსი) — კევინ კიმი (აშშ) 6:0 (უარი); ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (3, რუსეთი) 6:2 7:5; კონსტანტინ კრავჩუკი (რუსეთი) — ჰიუნ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4 6:4; ფაბრის სანტორო (7, საფრანგეთი) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 6:2; იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) — პოლ-ანრი მატიო (7, საფრანგეთი) 7:6 6:4; რობინ ვიკი (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:4 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — მიშა ზვერევი (გერმანია) 4:6 6:3 6:2

**მეორე წრე**

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:4 6:2; იგორ კუნიცინი (რუსეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 4:6 6:2

**კაცები**
სტოკჰოლმი. შვედეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 680 250 ევრო

**პირველი წრე**

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) 6:4 6:2; იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 6:4 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 7:5 6:2; ანდრეას ვინჩიგუერა (შვედეთი) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 6:4 6:1; იარკო ნიემინენი (5, ფინეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:4

**მეორე წრე**

კრისტოფ ვლიგენი (7, ბელგია) — ფრენკ დანსევიჩი კანადა) 3:6 6:3 6:4

**კაცები**
ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 565 000 ევრო

**პირველი წრე**

ივან ლიუბიჩიჩი (1, ხორვატია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 6:2; მარკოს ბაღდატისი (4, კვიპროსი) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:3 3:6 6:4; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — დენის გრემელმაირი (გერმანია) 6:1 6:0; ლუკაშ კუბოტი (პოლონეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:4 6:3; რიშარ გასკე (საფრანგეთი) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 7:6 6:3; კარლოს მოია (ესპანეთი) — ნიკოლა ალმაგრო (ესპანეთი) 3:6 6:3 7:6; დავიდ ნალბანდიანი (2, არგენტინა) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:7 6:2 6:2

**მეორე წრე**

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ტომი ჰაასი (6, გერმანია) 6:3 4:6 6:0

**ქალები**
მოსკოვი. რუსეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

სამანტა სტოსური (ავსტრალია) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 4:6 6:3 6:2; ნადია პეტროვა (5, რუსეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:2 6:2; პატი შნიდერი (6, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3 6:0

**მეორე წრე**

ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:1 6:3; მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 7:5

**ქალები**
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი
საპრიზო 200 000 $

**პირველი წრე**

ნატალი დეში (1, საფრანგეთი) — ჟი იანი (ჩინეთი) 6:4 6:4; ჯამეა ჯექსონი (აშშ) — მელინდა ჟინკი (უნგრეთი) 6:2 6:3; ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — კატალინა კასტანო (10, კოლუმბია) 6:0 7:6; ელენი დანილიდუ (5, საბერძნეთი) — სუ-ვეი ჰსი (ტაივანი) 4:6 6:4 6:3; სევერინ ბრემონდი (9, საფრანგეთი) — რიოკა ფუდა (იაპონია) 6:2 2:6 7:5; ელენა კოსტანიჩი (8, ხორვატია) — მენგ იუანი (ჩინეთი) 5:7 6:4 7:6; ლუსი შაფაროვა (4, ჩეხეთი) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:3 6:3; მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) — ანაბელ მედინა-გარიგესი (2, ესპანეთი) 6:7 6:3 6:4

# რუსებმა სამხრეთი დაკარგეს

## ვენა წყნარი ქალაქია: მომგები იგებს



მარია შარაპოვა

AFP მოსკოვიდან

ამ კვირაში მთავარი მოვლენები მოსკოვში ხდება, რადგანაც რუსებმა კრემლის თასი მართლაც რომ წარმომადგენლობით ტურნირად აქციეს, სადაც თამაში საუკეთესო ჩოგბურთელებსაც არ ეთაკილებათ. სლავებმა იმდენი შეძლეს, რომ კაცთა და ქალთა ტურნირს ერთდროულად ატარებენ, რის გამოც რენომე კიდევ უფრო აიმაღლეს.

ამიტომაც „ოლიმპიისკიში“ მიმდინარე მატჩებით [illegible] კრემლის თასზე [illegible] შობს, რის გამოც ძალაუნებურად მათზე მოგვიწევს ლაპარაკი.

გუშინ ტურნირის პირველმა ნომერმა ნიკოლაი დავიდენკომ გაახარა თანამემამულეები, გავიდა რა მეოთხედფინალში. თან კოლიამ ხომ რუსეთის სახელით მოთამაშე თეიმურაზ გაბაშვილი დასცა. თუმც რუსებმა საკმაოდ ძნელად გადაიტანეს მეორე მოსკოველის მიხაილ იუჟნის მარცხი, რომელმაც ფილიპ კოლშრაიბერს ვერაფერი დაუპირისპირა.

რუსები არც მარია შარაპოვამ გააწბილა და მოსკოვს წელსაც ეწვია — იქ მაშას ჩასვლა ყოველთვის დიდი ზეიმია. თვითონ რუსი პრიმა გუშინ ჩაერთო გათამაშებაში და მეოთხედფინალის საგზური საკმაოდ მძიმე ბრძოლაში გამოჰგლიჯა ეკატერინა ბიჩკოვას. შარაპოვამ კარგად დაიწყო, მაგრამ მეორე სეტის შუაწელს თითქოს გაითიშა — ზედიზედ მიაყოლა ორმაგი და უნებლიე შეცდომები. ბიჩკოვას სეტ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ მაშამ არ ისურვა საქმის გადადება და მეორე პარტიაშივე დაამთავრა მატჩი.

მეორე რუსულ დერბიში კი გვარიანი სენსაცია გამოცხვა — ვერა ზვონარიოვას მიერ ფავორიტ სვეტლანა კუზნეცოვას დამარცხებას, თანაც ასე იოლად, ვერავინ წარმოიდგენდა.

საინტერესო ტურნირები მიმდინარეობს სტოკჰოლმსა და ვენაშიც. შვედეთის დედაქალაქისკენ განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაა მიპყრობილი, რომ იქ რაფაელ ნადალი თამაშობს. მალიორკელმა ვარსკვლავბიჭუნამ პირველი ბარიერი იოლად დაძლია და ახლა მასპინძელ არტილერისტ იოახიმ იოჰანსონის ესებთან მოუწევს გამკლავება.

ვენაში ყველა მომგებმა მოიგო. მათ შორის პირველმა და მეორე ნომრებმაც — ივან ლიუბიჩიჩმა და დავიდ ნალბანდიანმა, თუმც არგენტინელს თანამემამულე ჩელასთან სამსეტიანი ომის გადატანა მოუხდა. ერთადერთი მოულოდნელობა ტომი ჰაასის მარცხი იყო.

**ბაჩა ლომაშვილი**



# დისქავერის მომავალი: ფულრიხი



იან ულრიხმა ამერიკისკენ გაიხედა

ცნობილი ამერიკული ტელეარხის „დისქავერისა“ და ამავე სახელის მქონე ველოგუნდის თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. ტელეარხის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება ველოგუნდის ბოსებთან სასპონსორო ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე.

„დისქავერის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ველოგუნდთან თანამშრომლობა მომგებიანი აღმოჩნდა ტელეარხისთვის და ამიტომაც „დისქავერი“ მზად არის, გააგრძელოს ეს თანამშრომლობა და წელიწადში 10-15 მილიონი დოლარი გამოყოს გუნდისთვის, რომელიც მომავალ სეზონში განახლებული შემადგენლობით იასპარეზებს.

ლენს არმსტრონგის ყოფილ გუნდში ამჟამად 27 ველოსიპედისტი ირიცხება, რომელთაგან 11 ძლიერი მრბოლი გაისად „დისქავერში“ აღარ იქნება. ვიაჩესლავ ეკიმოვმა აქტიურ სპორტს თავი დაანება და გუნდის სპორტული დირექტორი იქნება, 2005 წლის „ჯირო დიტალიას“ გამარჯვებული პაოლო სავოლდელი ყაზახურ „ასტანაში“ გადადის და მათ გარდა „დისქავერიდან“ ისეთი ცნობილი სახეები მიდიან, როგორებიც ჟოზე აზევედუ, მაკს ვან ჰეესვიიკი, მანუელ ბელტრანი და იურგენ ვან დენ ბრუკი არიან.

მათ ნაცვლად „დისქავერის“ შეფებმა უკვე აიყვანეს ლევი ლეიფჰემერი, ვინც ადრეც იცავდა ამერიკული ველოგუნდის ღირსებას, აგრეთვე უროს მურნი, ჯანი მეერსმანი, სერჟიუ პაულინუ და ტომას ვაიტკუსი. და, რაც ყველაზე მთავარია, გავრცელდა ხმები, რომ მომავალ სეზონში „დისქავერის“ ღირსებას 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული და მრავალგზის პრიზიორი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი იან ულრიხი დაიცავს.

როგორც ესპანური გაზეთი AS იუწყება, „დისქავერის“ შეფი იოჰან ბრიუნელი დიდ ინტერესს იჩენს გერმანელი მრბოლის მიმართ და იმ წუთსლა ელოდება, როდესაც შვეიცარიის ველოფედერაცია ულრიხზე მომავალი სეზონისთვის პროფესიონალურ ლიცენზიას გასცემს.

თავად ბრიუნელი ჯერჯერობით არ ადასტურებს ულრიხის პერსონით დაინტერესებას, მაგრამ მრბოლის მენეჯერი ვოლფნაგ შტრობანდი არ უარყოფს ამერიკული გუნდის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი ულრიხისთვის ლიცენზიის გაცემაზე, ჯერჯერობით სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ გერმანელი მრბოლისთვის სასიამოვნო სიახლე უნდა იყოს ესპანური სასამართლოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ არ იქნას გატარებული სანქციები იმ ველოსიპედისტებზე, რომლებიც მხოლოდ ეჭვების დონეზე არიან დაკავშირებულნი ესპანელი ექიმის ფუენტესის საქმესთან და ეს ეჭვები დოკუმენტურად არ დასტურდება.

ულრიხის საქმე კი სწორედ ასეა, ანუ ეჭვების დონეზეა და არის იმის დიდი ალბათობა, რომ სახელოვანმა გერმანელმა ლიცენზიაც მიიღო და „დისქავერის“ ლიდერის ადგილიც დაიკავოს.




ხორვატია — ინგლისი 2:0. პოლ რობინსონი
ნამეტანი შერცხვა: დაგორებულ ბურთს ფეხი ააცილა და...




მალტა — უნგრეთი 2:1. მაიკლ მიფსუდის მალტამ სენსაცია მოახდინა



საფრანგეთი — ფარერები: მშვიდად, წყნარად 5:0



უელსი —კვიპროსი 3:1.
რობერტ ერნშოუს გოლი და შოუ




ჩრდ. ირლანდია — ლატვია 1:0. კაილ ლაფერტის (შუაში)
ირლანდია არც ამჯერად დაიჩრდილა




ირლანდია — ჩეხეთი 1:1. კევინ კილბეინის გოლი სტუმრებმა მალევე გაქვითეს



პოლონეთი — პორტუგალია 2:1. შერცხვენილი პორტუგალია და კრიშტიანუ რონალდუ

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. IV ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

**A ჯგუფი**

**ყაზახეთი 0:2 ფინეთი**

0:1 ლიტმანენი (27), 0:2 პიიპა (65)

**სერბეთი 3:0 სომხეთი**

1:0 სტანკოვიჩი (54პ), 2:0 ლაზოვიჩი (62), 3:0 ჟიგიჩი (90)

გაძევება: ნაზარიანი (76, სომხეთი)

**პოლონეთი 2:1 პორტუგალია**

1:0, 2:0 შმოლარეკი (9, 18), 2:1 ნუნუ გომეში (90)

**ბელგია 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 სიმონსი (23პ), 2:0 ვანდენბერგი (46), 3:0 დემბელე (81)

გაძევება: დემბელე (87, ბელგია)

**C ჯგუფი**

**მალტა 2:1 უნგრეთი**

1:0 შემბრი (14), 1:1 ტორგელე (19), 2:1 შემბრი (52)

გაძევება: ვანჩაკი (38, უნგრეთი)

**თურქეთი 5:0 მოლდოვა**

1:0, 2:0, 3:0 შუქური (35, 37პ, 43), 4:0 თუნჯაი (68), 5:0 შუქური (73)

**ბოსნია 0:4 საბერძნეთი**

0:1 ხარისტეასი (8პ), 0:2 პაცაცოღლუ (82), 0:3 სამარასი (85), 0:4 კაცურანისი (90)

გაძევება: პაპაჩი (50, ბოსნია)

**D ჯგუფი**

**ირლანდია 1:1 ჩეხეთი**

1:0 კილბეინი (62), 1:1 კოლერი (64)

**სლოვაკეთი 1:4 გერმანია**

0:1 პოდოლსკი (13), 0:2 ბალაკი (25), 0:3 შვაინშტაიგერი (36), 1:3 ვარგა (58), 1:4 პოდოლსკი (72)

**უელსი 3:1 კვიპროსი**

1:0 კუმასი (33), 2:0 ერნშოუ (39), 3:0 ბელამი (72), 3:1 ოკასი (83)

**E ჯგუფი**

**ანდორა 0:3 მაკედონია**

0:1 პანდევი (13), 0:2 ნოვესკი (16), 0:3 ნაუმოსკი (31)

გაძევება: სივერა (26, ანდორა)

**რუსეთი 2:0 ესტონეთი**

1:0 პოგრებნიაკი (78), 2:0 სიჩოვი (90)

გაძევება: პიროია (90, ესტონეთი)

**ხორვატია 2:0 ინგლისი**

1:0 სილვა (60), 2:0 ნევილი (68ს.კ.)

**F ჯგუფი**

**ისლანდია 1:2 შვედეთი**

1:0 ვიდარსონი (6), 1:1 კალსტრიომი (8), 1:2 ვილჰელმსონი (59)

**ლიხტენშტაინი 0:4 დანია**

0:1 დ. იენსენი (29), 0:2 გრავგაარდი (32), 0:3, 0:4 ტომასონი (51, 64)

**ჩრდ. ირლანდია 1:0 ლატვია**

1:0 ჰილი (35)

**G ჯგუფი**

**ბელარუსი 4:2 სლოვენია**

1:0 კოვბა (16), 1:1 სეზარი (17), 1:2 ლავრიჩი (43), 2:2, 3:2 კორნილენკო (52, 60), 4:2 კორიტკო (85)

**ლუქსემბურგი 0:1 ბულგარეთი**

0:1 ტუნჩევი (26)

**ჰოლანდია 2:1 ალბანეთი**

1:0 ვან პერსი (14), 2:0 ბექაი (41ს.კ.), 2:1 ცური (67)

## აზიის თასი 2007. შესარჩევი ეტაპი

**საკვალიფიკაციო წრე**
**პირველი მატჩები**

ბანგლადეში 0:4 უზბეკეთი
ავსტრალია 2:0 ბაჰრეინი
ტაივანი 0:2 ირანი
კორეა 1:1 სირია
ინდოეთი 0:3 იაპონია
პაკისტანი 0:3 იორდანია
ერაყი 4:2 სინგაპური
ყატარი 2:0 ჰონკონგი
ომანი 2:1 საამიროები
პალესტინა 0:2 ჩინეთი
საუდეთი 5:0 იემენი

## შვეიცარია

**თასის 1/16 ფინალი**

რომონტუა 0:0*(2:4პენ)* *ბოლში*

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

**პლეი ოფი**
**საპასუხო მატჩები**

ბულგარეთი 1:4 *ბელგია* (1:1)
*ისრაელი* 1:0 საფრანგეთი (1:1)

## ნორვეგია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ოსლო იოსტი 1:2 სოგნდალი

## ამხანაგური მატჩები

ჰონდურასი 2:1 გვატემალა
ქუვეითი 1:0 ლიტვა
ავსტრია 2:1 შვეიცარია
ესპანეთი 2:1 არგენტინა




ბადრი კეთილაძის ფოტო

# ქოქოლა დამსჯელ რაზმს

მატჩი ახალი დამთავრებული იყო, ტრიბუნიდან მოედანზე სტრიკერი რომ გაიჭრა. ამგვარი სპორტული სუბკულტურა ჩვენში ახალი ხილია, მაგრამ ვინც ფეხბურთს უყურებს, ყველამ იცის, რომ სტრიკერებს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები დაედევნებიან, დაიჭერენ და მოედნიდან გააძევებენ ხოლმე. გუშინ კი სტრიკერი სამხედრო ფორმაში გამოწყობილებმა ცემეს — მოედანზე გართხმულს წიხლიც ჩააზილეს და მუშტიც უთავაზეს — ამის გაკეთება ათეულ ათასობით გულშემატკივრის წინაშე გაბედეს. ველურობით აღშფოთებულმა ხალხმა ფორმიანებს ქოქოლა და ნაირგვარი საგნები დააყარა.

იმედია, ნაკრების მომდევნო საშინაო თამაშზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მართლა დაცვის სამსახურს დაიქირავებს და არა დამსჯელ რაზმს.

**დავით თავართქილაძე**




ბადრი კეთილაძის ფოტოები




ბადრი კეთილაძის ფოტო



დანიელე დე როსისგან
ჩვენც მოგვხვდა და მასაც მოხვდა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები



რუმინეთიდან დაბრუნებულ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს წარმატება სახალხოდ მიულოცეს




კახა კალაძე და ანდრეა პირლო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00